



დეკემბერი,
2019 წელი

პეიტუ დუპიძისი

„და ანგელოზსა ფილადელფიისა ეკლესიისასა მიუწერე: ამას იტყვას წმიდა და ჭეშმარიტი, რომელსა აქუს კლიტე დავითისი, რომელი-იგი განაღებს, და არავინ დაჰკვას, გარნა განმღებულმან მან, და არავინ განაღოს დაჰშული იგი.“

(გამოცხ. 3.7)

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ყოველთვიური გაზეთი

25 დეკემბერს სვეტიცხოვლის ტაძარში საპარტველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრებასადმი მიძღვნილი სადღესასწაულო ლიტურგია გაიმართა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ მრევლს სიყვარულისთვის მადლობა გადაუხადა.

– „ჩვენი ერი ღვთისაგან დაჯილდოებულია სიყვარულით და ამ სიყვარულს უნდა გავუფრთხილდე. სიყვარულზე სიძულვილით არ უნდა ვუპასუხოთ.“

ეს არის ღვთის დიდი წყალობა, ღვთის მადლი, რომელიც მოგვცინა ჩვენ ყველას. მადლობელი ვარ ღვთისა და ჩვენი ერისა, რომ მომეცა საშუალება შემესრულებინა ეს საქმე, ჩვენი ერი ღვთისაგან დაჯილდოებულია სიყვარულით და ამ სიყვარულს უნდა გავუფრთხილდე. სიყვარულზე სიძულვილით არ უნდა ვუპასუხოთ. მადლობელი ვარ თქვენი სიყვარულისთვის. დალოცვილი იყავით“, – ბრძანა კათოლიკოს-პატრიარქმა.



მადლობელი ვარ ღვთისა და ჩვენი ერის...
მადლობელი ვარ თქვენი სიყვარულისთვის.

ნომერშია

სძა ერიდან

25 დეკემბერი – სრულიად
საპარტველოს კათოლიკოს-
პატრიარქის უნემიდასისა და უნატარასი
ილია II-ის აღსაყდრების დღე

რობერტ სტურუა
უჩვეულო საღამო

იანო ალიბეგაშვილი
ღვთისმშობლის მადლი

რამაზ ხუროძე
25 დეკემბრის მოლოდინში...


ვაჟა აზარაშვილი
უფლის მადლი და მფარველობა არ მოგაგონებთ თქვენ
და სრულიად საპარტველოს

გულიკო ჩაფიძე
მან სიცოცხლე მარ უპა ...

„პატონი გურამ საღარაძე ღმერთმა დალოცოს...“ გვ. 3-6

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-
პატრიარქის, უნემიდასი და უნატარასი
ილია მეორის აღსაყდრების 42-ე
წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია

გვ. 2



გამოფენა სამების
საკათედრო ტაძრის
ახანგაზრდულ ცენტრში

გვ. 16

საღვთისმშობელთა წერილები

„ჭაშმარიტი წინასწარმეტყველის თვისებები“

გვ. 9-11

აპოსტოლის ილია მინიატისი

ყოველწლიური ღვთისმშობლის ტაძრად

მიყვანება

გვ. 14-15

გურამ ბანაშვილი

ილია ჭავჭავაძე

გვ. 9-12

შესვენარა ქართვალ
სტუმრანტაბთან
ათენში

ვუბანსაინჟალთ
ლინცის

უნივერსიტეტის
ნარმოგადგანლას

გვ. 2

აკადემიკოსი როინ
მეტრეველი 80
წლისაა



გვ. 7-8

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის აღსაყდრების 42-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია



23 დეკემბერს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის აღსაყდრების 42-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართა.

კონფერენცია გახსნა და დამსწრეთ შესავალი სიტყვით მიმართა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, თეოლოგიისა და ფილოლოგიის დოქტორმა, პროფესორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ:

„– მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ მობრძანებისთვის და თქვენთან ერთად ჩვენი სასწავლებლის სახელით უდიდესი მონივნება და მადლიერება გამოვხატო უწმინდესი პატრიარქისადმი. დღეს ჩვენ ვმოღვაწეობთ მის მიერ დაარსებულ სასწავლებელში, რომელიც უწმინდესისა და

უნეტარესის მუდმივი მზრუნველობით, ქვეყნის უპირველეს სასულიერო კერად იქცა და ეს მისადმი დიდ მადლიერებასთან ერთად, უდიდეს პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს.

ნება მიიბოძეთ, პირველი სიტყვა მოხსენებისათვის გადავცე მანგლისისა და თეთრწყაროს მიტროპოლიტს, ისტორიის დოქტორს, ჩვენი სასწავლებლის ღვაწლმოსილ პედაგოგს, პროფესორ ანანიას (ჯაფარიძე), რომელიც ათეული წლებია დგას პატრიარქის გვერდით და წმინდა ეკლესიისა და უწმინდესისადმი ერთგულებით მოღვაწეობს. მეუფე ანანია წაიკითხავს მოხსენებას: „პატრიარქის მოღვაწეობის პირველი წლები (1980-1990 წ.წ.)“;

კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ აგრეთვე სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საქართველოს ისტორიის

კათედრის გამგე, თეოლოგიის დოქტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე: – „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე და მრავალკონფესიური მსოფლიო“; სასულიერო აკადემიისა და სემინარიის

გამომცემლობის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნინო მელიქიშვილი – „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და თანამედროვეობის პრობლემები“.

კონფერენციის დასასრულს, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ მადლობა გადაუხადა მომხსენებლებს და შეკრებილთა სახელით კიდევ ერთხელ გამოხატა უდიდესი მადლიერება და მონივნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის მიმართ.

„მოგესხენებათ, - თქვა რექტორმა, - უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს სასულიერო აკადემიის – ეკლესიის წიაღში შექმნილი უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლის დაარსებას და

ესეც პატრიარქის დამსახურებაა. სასულიერო აკადემიის გარეშე შეუძლებელია ქართული საღვთისმეტყველო აზრისა და საღვთისმეტყველო მეცნიერების აღორძინება“.

„უმადურობა, ძალიან მძიმე მდგომარეობაა, - აღნიშნა რექტორმა, - ყველას მოგვეთხოვება წმინდა ეკლესიისა და საეკლესიო მოძღვრებისადმი ერთგულება, პატრიარქისა და წმინდა სინოდისადმი ერთგულება. პატრიარქი ღვთისმიერ დადგენილი მწყემსმთავარია საქართველოს ეკლესიაში და ნებისმიერი ადამიანი, რომელიც უტიფრად ხელს აღმართავს მის ავტორიტეტსა და უდიდეს ღვაწლზე, საკუთარ თავს უმძიმესი სასჯელის ქვეშ აყენებს.

ბოლო პერიოდში არსებულმა განსაცდელებმა კიდევ უფრო მეტად შეკრა და გაამთლიანა ჩვენი საზოგადოება პატრიარქის გარშემო.“

კონფერენციის დასრულების შემდეგ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ მანგლისისა და თეთრწყაროს მიტროპოლიტს, მაღალყოვლადუსამღვდელოეს მეუფე ანანიას დაბადებიდან 70-ე წლისთავთან დაკავშირებით სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სახელით, საჩუქრად გადასცა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პანაღია.

სალომე გოშინაშვილი



ათენში ვიზიტის ფარგლებში, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორის, პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის მოწვევით, შეხვედრა გაიმართა ათენის უნივერსიტეტის თეოლოგიის პროგრამის ქართველ სტუდენტებთან. შეხვედრაზე ისაუბრეს ქართველი სტუდენტების ათენში სწავლებისა და მათი მიღწევების თაობაზე. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა აღნიშნა, თუ

საეკლესიო სწავლებისადმი უდიდეს ერთგულებას, საეკლესიო იერარქიის პატივისცემას, უნდა იცავდეს კანონიკური სამართლისა და ქრისტიანული ეთიკის ნორმებს, ცხოვრობდეს ეკლესიურად, საფუძვლიანი განსწავლულობა შეიძინოს საღვთისმეტყველო მეცნიერებაში და ამით თავისი წვლილი შეიტანოს ქართული საღვთისმეტყველო აზრისა და ქრისტიანული ცნობიერების აღორძინებასა და განმტკიცებაში.

შეხვედრა ქართველ სტუდენტებთან ათენში

რამდენად მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ სწავლებისა და ცხოვრების პერიოდში სტუდენტებთან მუდმივი კავშირი და მათი მხარდაჭერა.

პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, არქიმანდრიტმა სერაფიმემ (ჭედია) და დეკანოზმა შალვა კეკელიამ აღნიშნეს, რომ თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი უნდა ავლენდეს ეკლესიისა და

სტუდენტების მხარდაჭერის მიზნით, შეხვედრაზე მოწვეული იყო საბერძნეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელი, უფროსი მრჩეველი, ქალბატონი დეა მუმლაძე, ათენში მოღვაწე სასულიერო პირები, არქიმანდრიტი აბიბოსი (ტარიადისი) და ათენის უნივერსიტეტის თეოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებული, ბერდიაკონი ნიკოლოზი (ხვიჩია). სტუდენტებს დელეგაციამ გაუზიარა ინფორმაცია ათენის უნივერსიტეტის თეოლოგიის სკოლის დეკანთან შეხვედრისა და სამომავლო თანამშრომლობის შესახებ. ასეთი თანამშრომლობა გულისხმობს თეოლოგიის პროგრამის ფარგლებში სტუდენტების გაცვლას, პროგრამების განვითარების მიზნით აკადემიური პერსონალის დახელოვნებასა და ერთობლივი სამეცნიერო ღონისძიებების განხორციელებას. სტუდენტებს აგრეთვე მიენოდათ ინფორმაცია თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიაში მიმდინარე ცვლილებებისა და სახსრების შესახებ.

კუმასპინძლეთ ლინცის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს

2 დეკემბერს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუმრობდნენ ავსტრიის ქალაქ ლინცის უნივერსიტეტის წარმომადგენლები: საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ქალბატონი ანგელინა კრათშანოვა და ასისტენტი პროფესორი, ბატონი ფლორიან ვეგმაიდერი (ლიტურგიკის კათედრა).

აღნიშნული შეხვედრის მიზანი იყო ერასმუს+ პროგრამის ფარგლებში მხარეებს შორის კავშირის დამყარება. ლინცის უნივერსიტეტი სხვადასხვა ქვეყნის ქრისტიანული ტრადიციის შესწავლით არის დაინტერესებული. მათმა წარმომადგენლებმა გამოთქვეს სრული მზაობა აღნიშნული ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის. ქალბატონმა ანგელინა კრათშანოვამ მასპინძლებს გააცნო პროექტი, რომელიც

მელიც უცხოელი სტუდენტების სწავლებას ითვალისწინებს, ბატონმა ფლორიან ვეგმაიდერმა კი აღნიშნა, რომ ლინცის უნივერსიტეტის ლიტურგიკის კათედრა დაინტერესებულია აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ლიტურგიკული ტრადიციის შესწავლით.

ქართულმა მხარემ სტუმრებს უნივერსიტეტთან დაკავშირებული არაერთი შეკითხვა დაუსვა და გამოთქვა სურვილი, გაეცნოს ლინცის უნივერსიტეტში არსებულ თეოლოგიის სწავლების მეთოდებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ თეოლოგიისა და ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, დეკანოზი ბიძინა გუნია (ლიტურგიკის კათედრა), თბილისის სასულიერო სემინარიის დეკანი, დეკანოზი თეიმურაზ მუჟა-

ნაძე, საეკლესიო სამართლის კათედრის გამგე, დეკანოზი ლონგინოზ სუარიშვილი, დოქტორანტურის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელდარ ბუბულაშვილი, მონუმენტური ხატუნების რესტავრაციის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი მერაბ ბუჩუკური, რექტორის თანაშემწე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემისა და ინსტიტუციური განვითარების დარგში, ქალბატონი თამარ სანიკიძე, რექტორის თანაშემწე საზღვარგარეთის მართლმადიდებელ სასწავლებლებთან ურთიერთობის საკითხებში, ქალბატონი ლალი ხუჭუა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მოადგილე, თეოლოგიის დოქტორი ცოტნე ჩხეიძე.



25 დეკემბერი – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესი და უნეტარესი ილია II-ის აღსაყდრების დღე

სმა კრიდან

უჩვეულო საღამო

იმ საბედისწერო საღამოს სულ სხვანაირად დავინახე ვეველაფერი: ჩემი ცხოვრების ოღრო-ჩოდრო გზები, ჩემი ახლობლებისა და მეგობრების გასაჭირი თუ ბედნიერება, ჩემი ბედკრული ქვეყნის სიკეთე და, სამწუხაროდ, ბოროტი სული.

ის ჯადოსნური საღამო მოულოდნელად დაიწყო - ჩემმა ახალგაზრდა კოლეგამ დამირეკა - პატრიარქს შენი ნახვა სურსო. გამიკვირდა და გამეხარდა, ალბათ დაბადების დღე უნდა მომილოცოს. არ მახსოვს, მაშინ 70 თუ 75 წელი შემისრულდა. არ მახსოვს იმიტომ რომ, რაც შემდეგ მოხდა, მთლიანად შემცვალა, თითქმის სამუდამოდ დამაცლია ამაოებას, დამამშვიდა და ბედნიერების წიაღში გადამიწოდა.

მივედი უწმინდესთან. არ შევმცდარვარ - უღამაჟესი ჯვარი მისახსოვრა, ჯვარცმული მაცხოვარი იყო მინანქრით დამშვენებული. გარეთ გავედი, ბაღში. ზაფხულის სიცხე სასიამოვნო სიგრილვემ შეცვალა. პატრიარქი ჩამოჯდა. მეც შორიანხლოს მოკვალათდი და... სასწაული! თითქმის ერთი საათი ვისხედით ასე. სიჩუმე არცერთს არ დაგვირღვევია. დუმილი, რაღაც ღვთაებრივი სიმშვიდე სუფევდა ირგვლივ. მტკვრის ჩუმი შრიალი გვესმოდა, მანქანების ხმაური ვერ ახშობდა ტკბილად მოდუღუნე ტალღებს. ასე ვიყავით დიდხანს, ერთი საათი თუ ოცი წუთი უსასწრაფოდ გაგრძელდა და ამ საღამომ სხვაგან გადამიყვანა, სხვა განზომილებაში თუ... სიტყვებით ვერ გადმოცემთ იმ საოცარ მდგომარეობას, ძალას, რომლის მადლიც სამუდამოდ დასადგურდა ჩემს გულში და მწამს, ვერაფერი დათრგუნავს ჩვენი პატრიარქის წმინდა, უდრეკ რწმენას.

რობერტ სტურუა
20.12.2019

იანო ალიპაგაშვილი

ღვთითობიერებული მადლი

დადაჩაიის დედა ლუდუშაური იყო და ჩვენ ვენათესავეებით უწმინდესს და უნეტარესს.

დედა ღვთისმსახურებას ყოველთვის ესწრებოდა. 70-იანი წლების დასაწყისში, ჩვენს ოჯახს ყოფილი პრობლემები შეექმნა. მაშინ დედამ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს სთხოვა, დაელოცა მისი ოთხი შვილი. მომავალმა პატრიარქმა დედას უსახსოვრა ორი ხატი. კარგად მახსოვს დედაჩემის აცრემლებული, გახარებული სახე. ხატებმა ჩვენს ოჯახში დაივანეს და, დამიჯერეთ, პრობლემებიც მოგვარდა.

რა დამავიწყებს უწმინდესსა და უნეტარესთან პირისპირ პირველ შეხვედრას. ეს იყო 1993 წელს, სიონის საპატრიარქო რეზიდენციაში. მე მას არ ვიცნობდი, ჩემმა კონსერვატორიელმა კურსელმა ეთერ კოხოდემ, რომელიც საეკლესიო გუნდს დირიჟორობდა, მითხრა, პატრიარქს გადავცემ, რომ შენ საქართველოში ჩამოსული ხარ და აუცილებლად მოისურვებს შენთან შეხვედრასო.

მაშინ არ ვიცოდი, სასულიერო პირთან როგორ უნდა მოვეცეულიყავი და როცა პატრიარქი ოჯახის წევრივით, უშუალოდ შემეგება, უხერხულობა რომ შემატყო, გადამეხვია და ტრაპეზზე დამპატიჟა. სწორედ მას შემდეგ გამიასამაგდა მისადმი მონივნება და პატივისცემა.

და ყოველთვის, როცა სამშობლოში ჩამოვდივარ, პირველყოვლისა, უწმინდესს და უნეტარესს ვსტუმრობ.

ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, რომ პატრიარქის სურვილით, ჩემი მოკრძალებული ნვლილი შევიტანე მისი შედევრის - „ავე მარიას“ შექმნაში.

გერმანიაში სამკურნალოდ ჩასულმა უწმინდესმა და უნეტარესმა ისურვა, მე შემესრულებინა ეს ნაწარმოები.

დამიკავშირდნენ იტალიაში, მაშინვე ყველა საქმე გადავდე და მეუღლესთან ერთად ვეახელი. იქ დამხვდა ბატონი სვიმონ ჯანგულაშვილი, რომელიც უწმინდესს ეხმარებოდა ნოტების გადატანაში...

შემდეგ იყო 20-დღიანი დაძაბული შემოქმედებითი პროცესი. პატრიარქის „ავე მარია“ მართლაც ერთგვარ გვირგვინს წარმოადგენს მუსიკალურ სამყაროში.

გაგრძელება მე-4 გვ

25 დეკემბრის მოლოდინში...

1977 წლიდან ყოველი წლის 25 დეკემბერი (ახალი სტილით) საანგარიშო დღეა ქართველი კაცის სულიერი მდგომარეობის მოსახილველად. ამ დღეს თითქოს არწყვა ხდება ზნეობრივი მატებისა... ამ დღეს აუცილებლად დაეკითხები საკუთარ თავს: აბა წელს „მე ვის რა ვარგე?“ და ეს ჩვენი სათაყვანებელი პატრიარქის დამსახურებაა. ამ დღეს, 42 წლის წინათ ღმრთით დამადლიანდა ჩვენი ქვეყანა - ასე იწება არსთა გამრიგემ... იმ დღიდან აბსოლუტურმა უმრავლესობამ ერისა ძველი „გზისკენ“ სხვანაირად იწყო ცქერა - „გზა“ იპოვა და შეიყვარა, გზა ჭეშმარიტი და შეუცთომელი. ამ „გზაზე“ დადგომისა თუ შედგომის შიში გაქრა. ეს ჩვენი პატრიარქის დამსახურებაა. არადა, კომუნიზმის იდეებში გაბლანდულ-გახლართული რუსული შოვინიზმი მთელი სისასტიკით მძვინვარებდა - დაუნდობლად ებრძოდა ყოველგვარი ეროვნულის გამოვლენას, ებრძოდა ავტორიტეტებს - ებრძოდა პატრიარქს - უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს.

როგორც წლების წინათ დიდმა ილიამ - ილია მართალმა, 80-90-იან წლებში ილია II-მ ბევრი ანტიქართული გეგმა ჩაუშალა მავანთ და მავანთ, გავა დრო და ბევრ რამეს აეხდებოდა „გრიფით საიდუმლო“, ბევრი რამე გამჟღავნდებოდა.

„ქართლის ცხოვრება“ აღწერს სისხლიან და მწარე სიმართლეს... ილია მართალი წინარე პერიოდის სამღვდელოების შესახებ წერდა: „ჩვენს სამღვდელოებას დიდი დამსახური მიუძღვის ჩვენი ქვეყნის წინაშე. ღვთის მსახური კაცი იყო ქვეყნის და ჩვენი ერის მსახურიცა, როცა იგი ჭირში პირველი მეშველი იყო. უკეთესი მამა, გულშემატკივარი, დამრიგებელი, მაღლის ზნეობის მაგალითი“...

ერის მამის ნაბრძანები უჭოჭმანოდ შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენი დღევანდელი მოძღვრების დასახასიათებლად. 1977 წლის 25 დეკემბრიდან აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს ეკლესიის მსახურებისა, ჭეშმარიტად არიან მსახურნი ერისა და ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი პატრიარქის დამსახურებაა. რაც შეეხება იუდეებს, თუმცა იუდეებზე იუდემა ილაპარაკონ...

ძალზე ხშირად, როცა ოფიციალურ დუმდა, ან მთელი ძალით ვერ ავლენდა სისასტიკეს ეროვნული სულის ჩასახშობად, ესეც პატრიარქის გამოისობით იყო. ადგილობრივი თუ საკავშირო მთავრობა აშკარად ერიდებოდა ჩვენს პატრიარქთან ღია დაპირისპირებას. შეპარვით და ქვედინებებით, - იცოცხლეთ. ასეთ და მსგავს რამეებზე უკვე ჩვენი პატრიარქი სდუმდა!

სამსახურობრივი მდგომარეობის გამო ძალზე ბევრ ადამიანთან ვიყავი დაკავშირებული, განსაკუთრებით კი - ახალგაზრდებთან და ყოველ დღე ვუყურებდი მათ სულიერ ფერისცვალებას - „მსგავსობის“ კოდი ძლიერდებოდა... მართლაც რომ, კლდის სიმაგრე ეძლეოდა უძლურთ - ძალუმ ხშიანობდა ილიას კითხვა - „ქვეყანა ვისია?“ და ყოველგვარი ნებართვების გარეშე გავხსენით პოლიტექნიკურ ინსტიტუტში თეოლოგიის კათედრა, სამლოცველო დარბაზი, პედაგოგებად მოვინვიეთ მოძღვრები! საკმევლის სუნსა და ბურუსში მეტი ჟღერადობით ისმოდა „ქვეყანა ჩვენია!“ ესეც ჩვენი პატრიარქის დამსახურებაა და ამისთვისაც დიდი მადლობა მას.

არ ახალა, მაგრამ ამაღლებულ-ამამაღლებელ 25 დეკემბერთან შესახვედრად ვიმეორებთ: მართლმადიდებლობა ქართველი კაცის სულიერი პროფილის განმსაზღვრელია, საქართველოს ეკლესია ერის ღირსებაა, პატრიარქი კი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი - მცველი ამათი - საბჭოთა კავშირში ეკლესიის კლდესა ზედა ამშენებული.

რამაზ სუროძე,
აკადემიკოსი





დასაწყისი მისაღე გვირგვინი

შედარებით გვიან, უწმინდესს და უნეტარესს გავენდე - მინდოდა მისი სხვა რომელიმე შედევრიც შემესრულებინა. მან ღიმილიანი დუმილით „მიპასუხა“. სწორედ ამ შემთხვევამაც დაადასტურა მისი



განსაკუთრებული მუსიკალური სმენის მადლი. ჩემი ხმა უპირატესად „ავე მარიას“ უხდება, უწმინდესმა იგაძნო, რომ მისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად სწორედ მე ვიყავი შესაფერისი და მომანდო, პირველს, „ავე მარია“ მემღერა - ეს არის ჩემთვის უდიდესი ბედნიერება და, თქვენ წარმოიდგინეთ, მძიმე ხვედრიც. თავიდან, როდესაც ორკესტრთან ერთად „ავე მარიას“ ვმღეროდი, პირველი ფრაზებისას ყოველთვის ვინწყნარებდი თავს, ვივინყებდი, რა პროფესიის ვიყავი (პროფესიონალმა ერთგვარი დისტანციიდან უნდა შეხედოს ნაწარმოებს), დასაწყისში მუდამ ცრემლი მედგა თვალში. გამოგიტყდებით, პატრიარქის ამ შედევრში არის საოცარი ტკივილის, სიყვარულის განცდა, რაც ჩაქსოვილია ღვთიურ, ზეციურ მელოდიაში. დიახ, იგი საოცრებაა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშვილიშვილო ღვანლზე ფიქრისას, მიცხად-

დება: იგი ერთადერთია, რომელიც ასე საყოველთაოდ მოაქცევდა რწმენისაკენ ერს. მისი უშუალო და სუფთა ურთიერთობა ხალხთან, თითოეული ჩვენგანის უკეთესობისათვის მის უკეთილშობილეს და უსაზღვრო ზრუნვას ერი ჭეშმარიტად იმეცნებს და სწორედ ესაა ის საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა, რასაც მის მიმართ გამოხატავს საქართველოს მოსახლეობა, არა მხოლოდ ქართველები, სხვა ეროვნების ჩვენი თანამოქალაქენიც.

დავამატებდი (როგორც მოხვევს შეიძლება მიკერძოებაში ჩამითვალოს მკითხველმა, მაინც გავახსიანებ), მთაში წმინდა ურთიერთობები, თუნდაც მოხვევებში, ტრადიციულად სუფთა და თავანკარაა, ჩვენი პატრიარქის ხასიათშიც, პირველყოფლისა, ესაა წარმოჩენილი.

საყოველთაოდ გაცხადებულ აზრს გავიმეორებ: ჩვენ ღმერთმა გამოგვიგზავნა იგი. უკანასკნელ წლებში ასეთი გაჭირვებისა და ამდენი გაუგებრობის გამომწვევლი ქვეყანა ვერ გაძლებდა, რომ არ ჰქონოდა თავშესაფარი რელიგიაში და ქართველი ხალხი ფსიქოლოგიურად აირეოდა. და რა საოცარი ძალა უნდა ჰქონდეს ერის სულიერ მოძღვარს, რომ თითოეულ ჩვენგანს, სულიერად და მორალურად უპატრონოს, გადაურჩინოს ზნეობა და უკეთესობის იმედით აცხოვროს.

ჩვენდა საბედნიეროდ, ასეთი ღვთიებოძებული მადლი ხელენიფება ჩვენს პატრიარქს.

მის ქადაგებებსა და შეგონებებში მნიშვნელოვანი ნილი განათლებასა და კულტურას ეთმობა. თვითონ მრავალმხრივი უებრო შემოქმედებითი ნიჭით მომადლებული მწყემსმთავარი მუდამ გვეუბნება, რომ ერის თვითმყოფადობის აუცილებელ საყრდენს განათლებაც წარმოადგენს. სწორედ ამიტომაც, რომ მისი ხელდასხმით საქართველოში უამრავი სასულიერო სასწავლებელი და კერა დაფუძნდა. მათ შორის, უპირველესი, რა თქმა უნდა, თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, რომელსაც, წლების განმავლობაში თვითონ ხელმძღვანელობდა, და, ის, რომ დღეს სულიერი განათლების ამ კერას მამა გიორგი ზვიადაძე წინამძღოლობს, ესეც პატრიარქის, ჩვენს მიერ აღიარებული სიბრძნის საუკეთესო მაგალითია.

მამა გიორგი ზვიადაძე უაღრესად განათლებული სასულიერო მოღვაწეა, მრავალმხრივი ინტერესების მქონე პროფესორი, ჩვენი შეხვედრების დროს მსჯე-

ელობისას იგი, უპირატესად, აღმზრდელობით თემებზე მესაუბრება.

დედაჩემი როდესაც ამქვეყნიურ დღეებს ითვლიდა, გარდაცვალების წინ პატრიარქისაგან ნაჩუქარი ხატები — ღვთისმშობლისა და მთავარანგელოზისა — გადმომცა და გზა დამილოცა. დღეს მე ვატარებ მათ. ისინი ყველგან ჩემთანაა და ვგრძნობ, განვიცდი, რომ დედისმიერი საჩუქარი ცხოვრების სირთულეების დაძლევაში მშველის.

მოვა დრო, იგი ჩემი ერთადერთი ქალიშვილის მომავლის გზამკვლევიც გახდება. ეს მიმსუბუქებს გარდაუვალთან შეხვედრის მოლოდინს.

რედაქტორისაგან:

იანო ალიბეგაშვილი დაიბადა 1963 წლის 15 ოქტომბერს. მუსიკალურ განათლებას დაეუფლა თბილისის კონსერვატორიასთან არსებულ ექსპერიმენტულ სამუსიკო სკოლაში, შემდეგ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, რომლის დამთავრებისთანავე, 1989 წლიდან, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა



და ბალეტის თეატრის სოლისტად მიიწვიეს.

1990 წლიდან მომღერალი იტალიაში ცხოვრობს, უცხოეთში იანო თამარის ფსევდონიმით მოღვაწეობს. 1993 წელს შედგა მისი დებიუტი ლა-სკალაში.

მრავალი წელია იანო თამარი მღერის მსოფლიოს უდიდეს თეატრებში, თანამშრომლობს მსოფლიოს განთქმულ დირიჟორებთან და მომღერლებთან;

იანო ალიბეგაშვილის მეუღლეა ცნობილი იტალიელი ბარიტონი ვიტორიო ვიტელი. ჰყავთ ქალიშვილი — ნინა.

იანო თამარი ხშირად ჩამოდის საქართველოში. იგი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის უნიკალური ნაწარმოების - „ავე მარიას“ პირველი შემსრულებელია.

უფლის მადლი და მფარველობა არ მოგკლებოდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს

25 დეკემბერი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის აღსაყდრებისა და 4 იანვარი მისი დაბადების დღეები ჩვენი ერისთვის საკრალურ თარიღებს წარმოადგენს. საქართველოს მოსახლეობამ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან გაითავისა და სიყვარულით პატივს მიაგებს ერის სულიერ მამას.

უწმინდესს და უნეტარესს პირადად ორჯერ შევხვედრივარ, პირველად 2007 წელს, მეორედ 2011 წელს და ჩემთვის მუდამ დაუვინყარია მასთან პირისპირ საუბრის ყოველი წუთი.

როდესაც ჩემი დაბადების 75-ე წლისთავზე მოვაზადე წიგნი, რომელშიც წარმოდგენილია უკანასკნელ ათწლეულებში ქართული მუსიკალური კულტურის განვითარების ასპექტები და აქვეა ჩემი შემოქმედების ერთგვარი შემაჯამებელი ჩანაწერები, სრულიად ბუნებრივად მივიჩნიე, რომ წიგნის პირველივე გვერდზე გამომქვეყნებინა 2007 წლის ოქტომბერში მასთან შეხვედრისას წარმოთქმული სიტყვა :



„თქვენო უწმინდესობა

იმის მიუხედავად, რომ თქვენი ყოველი დღე საოცრად დატვირთულია, მაინც ახერხებთ გამონახოთ დრო კომპოზიტორებთან შესახვედრად. გაინტერესებთ ჩვენი პრობლემები, ჩვენი სატკივარი. ერთიანი ძალით უფრო ადვილია ყოველგვარი წინააღმდეგობის დაძლევა.

მოვისმინეთ ჩვენი საგუნდო საგალობლები, რომლებიც ღირსეულ ადგილს დაიკავებენ ქართულ საეკლესიო საგალობლებს შორის.

მეცნიერება და ხელოვნება კაცობრიობის არსებობის მუდამ განუყრელი ნაწილი იყო... იესო ქრისტემ პირველმა მოჰფინა ნათელი მეცნიერების წინსვლას, ხოლო ხელოვნების ისტორია ქვეყნის დასაბამიდან იწყება და პირველი მიუწვდომელი ხელოვანი ღმერთია თავად. თავი და თავი ის არის, რომ მეცნიერება და ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს იმ ღვთიურ მადლსა და სიკეთეს, რომელიც ნერგავს ხალხთა შორის სიყვარულს, სიხარულს, რწმენას და ურღვევ მეგობრობას. თქვენი ამგვარი სიტყვები და შეგონებები სანთელივით გვინათებს გზას მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში და გვაძლევს ძალას, რათა ჩვენი შემოქმედება იყოს ღრმად ეროვნული, ღრმად თანამედროვე.

მუხლმოდრეკით შევეთხოვ უფალს თქვენს ჯანმრთელობას. უფლის მადლი და მფარველობა არ მოგკლებოდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს.“

ვაჟა აზარაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვა. ოქტომბერი, 2007 წ.

2011 წელს ჩვენი საუბარი თითქმის ორ საათს გაგრძელდა და კულტურის განვითარების გზებს ეხებოდა.

პატრიარქმა ისურვა, შემესრულებინა ჩემი ერთ-ერთი მუსიკალური ნაწარმოები და საპასუხოდ მე



და ჩემს თანმხლებ პირებს მოგვასმენინა საკუთარი საგალობლების ჩანაწერები. შემდეგ ამ ჩანაწერთა კომპაქტ-დისკები და ვერცხლის სამაჯურები გვისახსოვრა, რომელსაც ამშვენებს წარწერა - „ღმერთმა დაგლოცოთ“

ეს საჩუქრები ჩემთვის ძვირფას რელიქვიას წარმოადგენს.

ამჟამად ამას საგანგებოდ ვიხსენებ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გაზეთის მკითხველთათვის.

ვაჟა აზარაშვილი



მან სიცოცხლე მაჩუქა ...

გაზეთის – „საქართველო და მსოფლიო“ 11-17 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა ღვაწლმოსილი ჟურნალისტის, არმაზ სანაშვილის საუბარი აკადემიკოს გულიკო ჩაფიძესთან, მისივე სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში.

ქალბატონ გულიკოს ბედმა მძიმე ხვედრი არგუნა: მის შესანიშნავ ოჯახში ერთ დღეს ყველაფერი უეცრად დაიწვია, ავარიამ იმსხვერპლა მისი შვილი, ამას მოჰყვა მეუღლის გარდაცვალება, მეორე ვაჟისა და შვილიშვილის ამ ცხოვრებიდან წასვლა.

სწორედ ამ მესამე განსაცდელის წამს, როცა თავის მოკვლასაც კი ფიქრობდა, მხსნელად მოევიდნა უწმინდესი და უნეტარესი...

ბაზაი „კლიტე დავითისის“ მკითხველებს ვთავაზობთ ვრცელი საუბრიდან ამონარიდებს, რომლებშიც წარმოჩენილია თუ როგორ დააბრუნა უწმინდესმა ცხოვრებაში კიდევ ერთი პიროვნება და ამით იხსნა მისი და მრავალთა და მრავალთა სიცოცხლე – ქალბატონი გულიკო ჩაფიძე ხომ საყოველთაოდ ცნობილი იმ სამედიცინო ცენტრის დამფუძნებელია, რომელსაც იშვიათად მოეძებნება ანალოგი და დღესაც, ხანდაზმულობის მიუხედავად, ავადმყოფთა უებარი მკურნალია.

არმაზ სანაშვილის შეკითხვებს რესპოდენტი უპასუხებს:

– მორწმუნე ვარ... ჩემი ეკლესიაში შესვლა დაიწყო შვილის გარდაცვალების შემდეგ. უწმინდესმა შთამაგონა. და, საერთოდ, ჩემს ცხოვრებაში ძალიან დიდი წვლილი სწორედ მას მიუძღვის. მან არ წამაქცია. ყველაფერი

გააკეთა, ამ ცხოვრებისკენ ჩემ შემოსაბრუნებლად... თავის მოკვლა მქონდა გადაწყვეტილი. მაშინ წამიყვანეს უწმინდესთან. პირველივე დღეებში ჩემი უბედურების.

– თქვენ რომ ახსენეთ საგალობელი „დავიღალე, დავიღალე, მოდი ჩემთან, უფალო“, მისი ავტორი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია... წლებია, მის გვერდით ხართ.

– ოცდაათი წელიწადია უკვე.
– შეგიძლიათ, მითხრათ, როგორი პიროვნებაა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი, როგორი ადამიანია ყოფით ურთიერთობაში?

– თუ შეიძლება წარმოვიდგინოთ ამქვეყნად წმინდა ადამიანი, ასეთია საქართველოს პატრიარქი ილია II. მე მისნაირი სიკეთე და სიყვარული არც მინახავს, არც გამიგია. რაც გინდა დააშავოს ადამიანმა, ყველას მიმტევებელია. ცოცხალი მაგალითია თანადგომის, თანაღმობის.

ორი შვილი, შვილიშვილი და მეუღლე დავკარგე. მეუღლეს ახალგაზრდა იყო. იმან ვერ გაუძლო. მე გავუძელი, ხომ ხედავთ. არც ერთხელ არ დავცემულვარ, უწმინდესმა არც ერთხელ არ დამაჩოქა, ქედის მოდრეკის უფლება არ მომცა.

ერთხელ მონასტერშიც კი წამიყვანა – ეს მეორე შვილის გარდაცვალების შემდეგ იყო, სადაც თვე-ნახევარი დავყავი, როცა მინა გამომეცალა ფეხქვეშ... კონსულტაციაზე გერმანიაში წავიყვანე, რადგან აქ, ჩვენთან ვერ დასვეს დიაგნოზი, გული კი მეუბნებოდა, რომ ეს ჩვეულებრივი ფილტვების ანთება არ იყო.

გერმანიაში წავიყვანე-მეთქი შვილი. კონსულტაციის შემდეგ გერმანელი კოლეგებისგან რომ გამოვედი, პირველი ზარი (როგორ გათვალა, მიკვირს) უწმინდესის იყო:

– გულიკო, როგორ ხარ?
– უწმინდესო, დავიღუპე-მეთქი, და გაჩერდიო, მითხრა, – ყველაფერი კარგად იქნებაო.

– არ იქნება კარგად, ვუპასუხე, სასწაულები არ ხდება.

– ხდება სასწაულები! წამოიყვანე და წამოდიო.

ყველაზე დიდი თანადგომა, მიუხედავად იმისა, რომ უზარმაზარი საქმე აბარია, ქრისტეს მოძღვრების დაცვის, ქართველი ერის სულიერების, რწმენის განმტკიცების ისტორიულად მნიშვნელოვანი საქმე, ერთი დღეც არ მიგრძვნიდა, ჩემზე რომ არ ფიქრობდა.

...სწორედ მაშინ აპირებდა გერმანიაში ჩასვლას უწმინდესი. გვიან ღამეს დამირეკეს და მეუბნებოდნენ, რომ ჩემთან უნდა დალაპარაკება. მიანოდეს ყურმილი და მეუბნება:

– გულიკო, შენ წამოხვალ ჩემთან ერთად. ღამის რეისით მიფრინავდა, სამ თუ ოთხ საათზე.

– ვერ წამოვალ, არ შემიძლია-მეთქი.

არც ბილეთი მქონდა, არც პასპორტი, არც ვიზა.

– წამოხვალ! – მითხრა კატეგორიულად და შალვა პეტრიაშვილის ბილეთით მართლაც გავეყვი უწმინდესს.

როგორ მოახერხა ამის ორგანიზება, არ მიკითხავს არც მაშინ, არც მას შემდეგ. არასოდეს.

გერმანიაში დიდხანს ვერ გავჩერდი. ვუთხარი, რომ უნდა დავბრუნებულიყავი თბილისში.



რატომო, მკითხა.
ვუთხარი, რომ მენატრება.
რა გენატრებაო?
ჩემი შვილების საფლავები.
დამთანხმდა.

– ამის მოსმენაც კი მიჭირს, ქალბატონო გულიკო, – ძლივს ამომხდა მეტყველების უნარდაკარგულს.


– ამიტომაც, რომ მეც ვცდილობ, არც არავის ველაპარაკო ამის თაობაზე. ჩემი ოჯახის წევრებმაც არ იციან, რასაც მე განვიცდი. სამსახურში ხომ ჩემი ცრემლი არავის უნახავს პაციენტთან, მის პატრონთან ურთიერთობისას. ამიტომ ყველა მეუბნება: გულიკო, რა კარგად ხარ!

ესეც უწმინდესმა მირჩია: როცა გეკითხებიან, როგორ ხარ, უპასუხე, რომ კარგად ხარ... მეც ასე ვიქცევი.

მკურნალის ჯვარია ეს: აბა, წარმოიდგინეთ, პაციენტის წინაშე საკუთარ გაჭირვებასა და უბედურებაზე მონუწუნე ექიმი... ეს ხომ ყველა პერსპექტივისთვის საფუძვლის გამოცლას ნიშნავს...

„ბაცონი გურამ სალარაძე ღმერთმა დადოცოც“ ...

60-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი თავისუფალი სტილის მოჭიდავე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, მრავალსაერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენოსანი, თბილისის საპატიო მოქალაქე გურამ სალარაძე გაზეთ „კლიტე დავითისის“ სტუმარია.



კორესპონდენტები:
– ბატონო გურამ, „მემკვიდრეობის“ მეოთხე წიგნი საქართველოს ავტოკეფალიური, მართლმადიდებელი ეკლესიის ღირსი მამებისაგან თქვენი დაბადების მეოთხმოცე წლის იუბილეს მოლოცვით იწყება.

აქ არის სამეზობლო საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის მოადგილის, არქიმანდრიტ ილია ნასიძის, ლურჯი მონასტრის წინამძღვრის, დეკანოზ დავით შარაშენიძის, ვაკის ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ შალვა კეკელიას, დეკანოზ ნინო გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ შალვა ჯინჭარაძის მოსალოცი წერილები.

ამით წარმოჩენილია თქვენი ცხოვრების უბრველესი წესი – იღვანოთ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი რწმენის შესაბამისად.

უფრო მეტიც, „მემკვიდრეობის“ მეოთხე წიგნის

მნიშვნელოვანი ნაწილი რელიგიას ეთმობა. დაბეჭდილია ქრისტიანული რწმენისაკენ ახალთაობის მიმხრობი წერილები. უპირველესყოფლისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის ქადაგებები, შეგონებები, და, რაც მთავარია, როგორც წესი, როგორც თქვენ წერთ, „ყველა ჩვენგანისათვის ძვირფასი და საყვარელი ადამიანის, ჩვენი იმედის, ნუგეშის, მშვიდობიანი, კეთილი, ჭეშმარიტი გზის გამკვალავის და დღევანდელი მსოფლიოს მორღვეულ ვითარებაში ქართველი ერის მომავალზე ყოველწუთიერ მაფიქრალისადმი“ მიძღვნილი თქვენი ჩანაწერები, რომლითაც მფლავნდება პატრიარქისადმი უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა.

საერთოდ, თვალშისაცემია რელიგიის ისეთი ცოდნა, რომლითაც ნებისმიერ საერო სასწავლებელში, თუ რელიგიათმცოდნეობის საგანი აღსდგება, შეგიძლიათ დამოძღვროთ ახალგაზრდები.

სიმართლე გითხრათ, სამოცი წელია, გვემაცებით, როგორც სწორუპოვარი ფალავანი, მსოფლიოს მრავალი ასპარეზობის გამარჯვებული მოჭიდავე, და, უკვე ხალიჩას გარიდებული – ბევრი საგულისხმო საქვეყნო საქმის მოთავე, მაგრამ ის, რაც „მემკვიდრეობის“ ფურცლებზე „შეგვხვდა“, ჩვენთვის აქამდე წარმოუდგენელი იყო: დიდი ერუდიცია და განსწავლულობა, ქვეყნის გულისცემაზე მუდამ მიყურადება და შესაბამისი რეაგირება, საზოგადოების გასაფრთხილებლად და გამოსაფხიზლებლად ღვწა.

გაგრძელება მეექვსე გვერდზე ►



◀ მესამე მკვლელობა

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტებისათვის (და არა მხოლოდ მათთვის) საინტერესო იქნება უწმინდესისა და უნეტარესისადმი თქვენი ქედმოძრეკილი დამოკიდებულების გაცნობა.

გურამ სალარაძე

– დავიწყებ იმით, რომ სპორტულ გაზეთ „ლელოში“, ბატონი თენგიზ გაჩეჩილაძის რედაქტორობის დროს, პატარ-პატარა წერილებს ვწერდი. რუბრიკას ერქვა „შეხვედრა წარსულთან“. ერთ მშვენიერ დღეს ბატონმა თენგიზმა მიჩიქა და დამაკვლიანა, უფრო ვრცლად დამეწერა სპორტზე, ასე დაიბადა „მემკვიდრეობის“ პირველი ნიგნი, რომელიც უპირატესად სპორტსმენებს ეხება. როგორც ქრისტიან, მართლმადიდებელ კაცს შეჰფერის, ჩემს მიერ მოთხრობილ ნარკვევებს რელიგიის თემა წავუძღვარე.

პატრიარქის დაბადების 70-ე წელი ახლოვდებოდა, როდესაც ჩემმა მეგობარმა, სახალხო მხატვარმა თამაზ ხუციშვილმა მიმიყვანა მასთან. უწმინდესი და უნეტარესი განსაკუთრებული სიტბოთი მომეფერა, მითხრა, რომ კარგად იცოდა ჩემი სპორტული მიღწევების შესახებ, დამლოცა. სწორედ მისი ლოცვა-კურთხევით გამოვეცი ნიგნი. პირველ ეგზემპლარს, ტრადიციულად, უწმინდესს და უნეტარესს მივართმევ ხოლმე. მაშინაც დაძაბული სიტუაცია იყო ქვეყანაში, ახალგაზრდებს მომავლის სწორი და მართალი გზის დასახვა, ქვეყნის სიყვარულის და პატრიოტიზმის მაგალითების ჩვენება სჭირდებოდათ და „მემკვიდრეობა“ ახალგაზრდა თაობას მივუძღვენი, ვაჩვენე, რომ ერთადერთი გზა, რომელიც საქართველოს გადაარჩენს, უფლის სიყვარულია.

დღეს მსოფლიოში ბნელი ძალები გაათქვამებული გავრცელებით ებრძვიან მართლმადიდებლობას, მწამს, ამ ბრძოლაში ეშმაკი დამარცხდება, რადგან უფალთან ჯერ არავის გაუმარჯვია და ვერც მომავალში გაიმარჯვებს. აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი „არიერგარდი“, რომლის თავმჯდომარე გახლავართ, გულმოდგინედ მიყურადებულ კრებს მართლმადიდებლური სამყაროს წმინდანთა და მამათა წინასწარმეტყველებებს საქართველოზე, ამ სიბრძნის სალაროდან მკითხველს ორ ამონარიდს შევახსენებ:

წმინდა სერაფიმე საროველი: – „მრავალი ერი გაქრება დედამიწის ზურგიდან, მაგრამ იბერია იქნება ქრისტეს მეორედ მოსვლამდე და კაცობრიობის ხსნა იბერიიდან მოვა“

წმინდა ლავრენტი ჩერნიგოველი: „იბერიის ღვთაებაში ეშმაკი ვერ დაისადგურებს. იბერია გადაურჩება მონამეობას, რადგან ღვთისმშობელი დაიცავს ამ ქვეყანას.“

ახალგაზრდებს მოვუწოდებ, შეუცდომლად გაჰყენენ პატრიარქისგან გაკვალულ გზას, და ამით ნათელსკონ საქართველოს მომავალი.

ესაუბრნენ თამაზ ბრიგადაშვილი და გივი შაყილაძე

„ნუგეშინისმცემელთა“ კიდე ერთი მოგზაურობის შესახებ

„**წმინდანა** იგი სამყარო არს ნათლად აღნაკეთები, მისგან არს ძირნი და ფესვნი, მორჩნი ყოველთა ხეთები“, – დიდი დავით გურამიშვილის ეს სიტყვები უნებურად (ან, იქნებ, პირიქით!) ხშირად გულსა და გონებაში, როდესაც ხედები უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს რომელთათვისაც, სადაც და როგორაც არ უნდა აყვავდეს გადარგული „მორჩი“, მისი „ძირი“ და „ფესვნი“ იქ რჩება, სადაც არსთა გამრიგეს დიდი ხნის წინათ დაურგავს... ეს იგრძნობა ყველგან, ეს იგრძნობა ისრაელში ჟამთა ვითარებით თავშეფარებულ ქართველთა სახეებიდანაც. ამიტომაცაა სამშობლოს დანატრებულნი ციურ მანანასავით რომ ელოდებიან თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის უფროსი მოძღვრის, არქიმანდრიტ სერაფიმეს (ჭეღია) ყოველ აბრძანებას (წმინდა მინაზე ასვლა – აბრძანება ხდება...) ისრაელში, რომელსაც, ჩვენი უწმინდესი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, სულის აბგაში გამოკრული ნასათუთები ნუგეში მიაქვს თითოეული მათგანისათვის... მამა სერაფიმეს გამოჩენით იქ ჩვენი დიასპორის ზეიმი იწყება (ზეიმი პირდაპირი მნიშვნელობითაც, თუმცა ამაზე ოდნავ მოგვიანებით...).

„ნუგეშინისმცემელთა“ მოგზაურობა იმითაც დამაღლიანდა, რომ მოძღვრის ნებით, სამომლოცველო დღეებად შეირჩა ხანი, როდესაც ლიდისა შინა წმინდა გიორგის ტაძრის განახლების დღესასწაული აღინიშნა, როდესაც, ტრადიციისამებრ, საზეიმო წირვას აღავლენს წმინდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქი. უწმინდესი თეოფილაქტეს თანამწირველთა შორის ბრძანდებოდა ჩვენი მამა სერაფიმე.



შეხვედრა ემიგრანტ ქართველებთან

ტაძრის დღესასწაულზე მოდიან მართლმადიდებელი არაბები, ბერძნები, რუსები, უკრაინელები, ინგლისელები (რადგან წმინდა

გიორგი ინგლისის მფარველად მოიაზრება)... ქართველები, წელსაც, როგორც უკვე მრავალი წელია, რიცხობრივად რამდენჯერმე აღემატებოდნენ ერთად მითვალულ ყველა დანარჩენი ეროვნების წარმომადგენლებს. წირვაზე იყვნენ საქართველოდან ამ დღისთვის წასული მომლოცველებიც (არაერთი ჯგუფი). ჩვენს ბედნიერებას სხვები აკვირდებოდნენ, ცოტათი ჰკვირობდნენ კიდეც. ასე იყო 23 ნოემბერს (ახალი სტილით), გიორგობასაც!

ტაძრის დღესასწაულზე იერუსალიმის პატრიარქს მამა სერაფიმემ, დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად, საჩუქრად გადასცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ გაგზავნილი დიდმოწამე გიორგის ხატი. თავის მხრივ, იერუსალიმის პატრიარქმა საპატრიარქო რეზიდენციაში იწვია დელეგაციის წევრები და სიყვარ-



მამა სერაფიმე მაცხოვრის აღდგომის ტაძარში

ულით მოიკითხა თავისი სულიერი ძმა და ქართველ ერს უსურვა ყოველივე საუკეთესო.

ტაძრის დღესასწაულისადმი მიძღვნილი წირვის შემდეგ სატრაპეზოში იერუსალიმის პატრიარქმა გვიმასპინძლა. ბრძანდებოდნენ: იერუსალიმის ეკლესიის მსახურნი, საქართველოს, რუმინეთის, ბულგარეთის, სერბეთის, რუსეთის, ინგლისის სახელმწიფოს ელჩები. მეტად შთამბეჭდავი იყო საქართველოს წარმომადგენლის, ბატონ ლაშა ჟვანიას მოკლე, მისასალმებელი სიტყვა.

დიდმოწამის მადლით გაბედნიერებული ქართველობა მოგვიანებით ლიდიაში (ლოდში) არსებულ ქართველთა სახლში შეიკრიბა. იქ ბრძანდებოდნენ ისრაელში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები, ელჩი – ლაშა ჟვანია. უნდა აუცილებლად აღინიშნოს, რომ იქაურ ქართველობას ძალიან უყვარს ბატონი ლაშა, ეიმედებათ მისით, სიხარულით ყვებიან მისი თავმდაბლობის, სულიერი სისუბეტაკისა და ვაჟკაცობის შესახებ,



მამა სერაფიმე წმინდა გიორგის ხატს გადასცემს იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს თეოფილაქტეს.

მის ავტორიტეტსა და წარმატებებზე ისრაელის ოფიციალურ წრეებში... ისრაელში ქართველთა სათვისტომოს ხელმძღვანელი, ბატონი ირაკლი კილაძე. ბატონი ირაკლის თაოსნობით, ცოტა ხნის წინათ, „არქი ჯგუფს“ უსასყიდლოდ და უხმაუროდ შეუკეთებია ქართულ ნავთსაყუდელი. ქართულ სახლში, როგორც წესი, თითქოს ყველა ანგარიშს აბარებდა სამშობლოს – მამა სერაფიმეს. გეგმებს აწყობდნენ – დაუძღვევლი და მიუღწეველი არა ჩანდა რა. ეს საკლასო ოთახი, სადაც საშაბათო სკოლაში 25 ქართველი მოსწავლე ეუფლება ქართულს. მასწავლებლობს კულტურის ატაშე ისრაელში, ცნობილი მეცნიერი, მთარგმნელი, ქალბატონი მანანა დუმბაძე. მამა სერაფიმეს გააცნეს სასწავლო გეგმა, სწავლების პროცესი და... მოსწავლეები...

უფესვოდ რომ უხეირო გაიზრდება, ამაზე ყველა თანხმდება. „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაყვარავი?“ ესეც ყველამ იცის. გასაკეთებელი რომ ძალზე ბევრია – ესეც. გამკეთებელი? გამკეთებელი რომ ბევრი არაა, ესეც ნათელია... მაგრამ... გულგაუტყნელები ჯვარის მონასტერში სამადლობელს ააგუგუნებენ, იმედიანი იქნება დილა მაცხოვრის აღდგომის ტაძარში აღვლენილი წირვის შემდეგაც, სადაც მეუფე იოაკიმეს უპირატესი თანამწირველი ბრძანდებოდა მამა სერაფიმე.

ლოცვით, ცრემლით, სიყვარულით, ბედნიერებით სავსე რამდენიმე დღე მიილია...

– ახლა როდის, კიდეც როდის ჩამობრძანდებით, მამაო სერაფიმე, – ისმოდა აქეთ-იქიდან...

გამცილებელთა შორის, როგორც მომლოცველობის ჟამს, იყვნენ ქართველი ებრაელებიც, რწმენით იუდეველები. მათთვისაც ძვირფასია მამა სერაფიმე...

ასამთ ჯიძია



აკადემიკოს როინ მეტრეველის წიგნის – "წარსულის გახსენება" წარდგინება

6 დეკემბერს, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტში გაიმართა საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს როინ მეტრეველის წიგნის – "წარსულის გახსენება" წარდგინება, რომელიც დაემთხვა როინ მეტრეველის დაბადების მე-80 წლისთავს.

იუბილარის ღვაწლზე და წიგნზე ისაუბრეს: ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, ფილოლოგიის და თეოლოგიის დოქტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, რომელმაც გამოაქვეყნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის მილოცვის ტექსტი, აკადემიკოსმა დავით მუსხელიშვილმა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა ნუნუ მიცკევიჩმა, პროფესორებმა ბუბა კუდავამ, ჯაბა სამუშიამ, გია ჯოხაძემ, პოეტმა ლია სტურუამ, მწერალმა ლაშა თაბუკაშვილმა, სპორტულმა კომენტატორმა ჯამლეთ ხუზაშვილმა. აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა მადლობა მოახსენა დამსწრე საზოგადოებას და ისაუბრა თავისი განვლილი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებზე.

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე: სიმბოლურია, რომ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია



პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სხდომათა დარბაზში დღეს გვაქვს მნიშვნელოვანი ღონისძიება: ჩვენი შეკრება ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრე-

ზიდენტს, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორს, აკადემიკოს როინ მეტრეველს. ბატონი როინი იუბილარია, ხვალ მას დაბადების 80 წელი უსრულდება. ჩვენი იუბილარისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ დაბადების დღის აღნიშვნა სწორედ აქ გადაწყვიტა იმიტომ, რომ ჩვენი სასწავლებლის დაფუძნების იდეა, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ პირველად სწორედ როინ მეტრეველს გაანდო, და შემდეგ, ამ იდეის განხორციელებაში, ყველა იმ სამუშაოში, რომელიც საპატრიარქოში ამ უნივერსიტეტის დაარსებისათვის მიმდინარეობდა, უშუალო წარმმართველი და მონაწილე პატრიარქის გვერდით ბატონი როინი ბრძანდებოდა, და, ბუნებრივია, ქართული უნივერსიტეტი აკადემიკოს როინ მეტრეველის მადლიერია.

საოცარია ჩვენი იუბილარის მიერ განვლილი

ცხოვრების გზა. ბატონი როინი ექვსი წლის ყოფილა, როდესაც მამა გარდაეცვალა. ამის შემდეგ, დედასთან, ქალბატონ ნინოსთან ერთად მოუწია დედისერ-



თას თავის ბედს შეჭიდებოდა.

ყოველივე ამის შესახებ, ბატონი როინი ვრცლად მოგვითხრობს თავის 420 - გვერდიან წიგნში, რომელსაც „წარსულის გახსენება“ ჰქვია და სწორედ დღეს არის ამ წიგნის წარდგინება.

საიდან მოდის ყმანცილისათვის ისტორიკოსად გახდომის სურვილი? ქუთაისის მეოთხე საშუალო სკოლის მეხუთეკლასელისთვის მასწავლებელს თემის დანერა დაუვალებია და როცა მისი ნაშრომი - „კრეტა-მიკენის კულტურა“ წაუკითხავს, უთქვამს: იგიქრე მომავალში ისტორიკოსის პროფესიაზეო.

ბატონი როინი მოგონებაში წერს, რომ იმ დროს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ შემდეგ მომავალი პროფესიის არჩევანის დრო რომ დადგა, მაშინ გაიხსენა ალლოიანი ისტორიის მასწავლებელი და ოჯახურ თათბირზე გადანყვიტა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე გაეგრძელებინა სწავლა.

1957 წელს სტუდენტი გახდა. საოცრად აღწერს ბატონი როინი იმ პირველ დღეს - პირველ სექტემბერს: როცა პირველად გადავაბიჯე უნივერსიტეტის ზღურბლს და შევედი უკვე შენობაში, ისეთი მღელვარება დამეუფლა, რომ მთელი 60 წლის მანძილზე ეს მღელვარება არ გამწელებიაო.

წარჩინებული სტიპენდიანტი სტუდენტის პირველი გზამკვლევი ბრძანდებოდა ღვანლმოსილი მეცნიერი შოთა მესხია, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მის შემდგომ მეცნიერულ წინსვლას.

რაც შეეხება ბატონი როინის პოლიტიკურ კარიერას, ახალგაზრდა უნივერსიტეტელი შეამჩნია და თავისთან მიიხმო მაშინდელი პარტიის ორგანიზაციის რაიკომის პირველმა მდივანმა, ქალბატონმა ვიქტორია სირაძემ, რომელმაც პირველმა დაულოცა გზა პოლიტიკურ სარბიელზე. მიხარია, რომ ქალბატონი ვიქტორია დღეს ჩვენთან ბრძანდება.

ჩემი თაობა შედარებით ახალგაზრდაა და იმ ძველი პერიპეტეიების უშუალო მომსწრე არაა. ხშირად

მიფიქრია, როდესაც 32 წლის ასაკში მიაღწევ კარიერაში თითქმის ყველაფერს და უეცრად გაიძულებენ ყველაფერ ამაზე უარი თქვა, ასეთ ვითარებაში ბევ-

რი ვეღარ აგრძელებს ნორმალურ და ჩვეულებრივ ცხოვრებას. არიან გამონაკლისები, თავიანთი შეუდრეკელობით და საოცარი ნებისყოფით რომ პასუხობენ ცხოვრების გამოწვევას. ასეთი გამონაკლისი ბატონი როინი გახლავთ: 1972 წლის შემოდგომიდან წარბშეუხრელად, სრული მობილიზებით სხვა ასპარეზზე, სხვა სარბიელზე, მეცნიერებაში გადაინაცვლა.

მისთვის ეს არ იყო ძნელი, რადგან მეცნიერებასთან არასოდეს გაუწყვეტია კავშირი. მან ხომ ჯერ კიდევ 1965 წელს მეთორმეტე საუკუნის საქართველოზე დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

1974 წლის 11 სექტემბერს კი სადოქტორო დისერტაციის დაცვისას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრებმა ერთხმად მიანიჭეს საძიებელი ხარისხი.

მისი კვლევის სფერო ადრეული შუა საუკუნეების ეპოქა იყო, არც თუ სასურველი (კონიუნქტურის გამო) 70-იანი წლების საქართველოს ხელისუფლებისათვის.

დიახ. კომუნისტების პერიოდში როინ მეტრეველის სახელთან არის დაკავშირებული დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქის ძირეული შესწავლა. ეს იყო გმირობა (ბევრი ისტორიკოსი თავის ნაშრომს მაშინ მალავდა), მან შეუპოვრად გაარღვია წინააღმდეგობის წრე და მისი მონოგრაფიები დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეზე ის განძია, რომელსაც ფერი არ ეცვლება. ამით ჩვენმა დღევანდელმა იუბილარმა იმდროინდელ ხელისუფლებასაც და მეცნიერებსაც დაუმტკიცა, რომ უპირველეს ყოვლისა, მთავარია, ღირსება, ვაჟკაცობა, ინტელექტი.

ბატონი როინის სახელთან, დიდ ირაკლი აბაშიძესთან ერთად, არის დაკავშირებული ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მრავალტომეულის გამოცემა; ბატონი როინის სახელთან არის დაკავშირებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ავტონომიის მოპოვება. ბატონი როინი პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის შემდეგ იყო პირველი რექტორი, რომელიც არჩულ იქნა სამეცნიერო საბჭოს მიერ. ჩვენ საპატრიარქოს უნივერსიტეტში ვართ და მსურს ორიოდე სიტყვა ეკლესიასთან დაკავშირებითაც ვთქვა. ბატონი როინი იმთავითვე დაკავშირებული იყო და არის უწმინდესსა და უნეტარესთან, მის წიგნში ამის არაერთი მაგალითია მოყვანილი, მათგან მე მაინც გამოვყოფ იმას, რომ მან პატრიარქთან შეთანხმებით თბილისის უნივერსიტეტში დააფუძნა წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესია. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით ბატონმა როინმა შექმნა წიგნი „დიდნი საქმენი“, რომელიც 2011 წელს გამოვიდა და პატრიარქს მიაართვა. ბატონ როინს ყველაზე მეტად ის ეამაყება, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეთმპყრობელმა უმაღლესი ჯილდოთი, წმინდა გიორგის ოქროს ორ-





◀ მკვიდრი მკვიდრი

დენით დააჯილდოვა. მრავალჯამიერ ბატონო როინ.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორის, პროტოპრესვიტერ გიორგი ზვინაძის მისალმება:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პატივცემულო პრეზიდენტო და ვიცე-პრეზიდენტო, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პატივცემულო რექტორო, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პატივცემულო წევრებო, ქართული ინტელექტუალური საზოგადოების პატივცემულო წარმომადგენლებო, ქალბატონებო და ბატონებო. გაგაცნობთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის მილოცვას ბატონი როინ მეტრეველის დაბადების 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით:

„ბატონ როინ მეტრეველს გულითადად ვულოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. მან დღემდე წარმატებულად განვლო თავისი ასპარეზი და ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეკავა ერის ცხოვრ-

ბაში. მისი სიტყვა იყო და არის მეტად მნიშვნელოვანი ჩვენი საზოგადოებისთვის.

ბატონი როინი არაერთი აკადემიის საპატიო წევრია და საქართველოს შუასაუკუნეების ისტორიის შესახებ მრავალი აღიარებული წიგნი აქვს გამოცემული, მათ შორის უცხო ენებზეც.

აღსანიშნავია, რომ, თავისი გამოკვლევებით, მან ნათლად წარმოაჩინა მართლმადიდებელი ეკლესიის მისია ქართველი ერის სულიერი განმტკიცებისა და განვითარების საქმეში. მისი ხელშეწყობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში აიგო წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარი, როგორც დადასტურება მეცნიერებისა და სულიერების კავშირისა, თავისი ცხოვრებითაც იგი ამ იდეის განხორციელებას უწყობდა ხელს.

ღმერთმა დალოცოს ბატონი როინი, მრავალჯამიერი სიცოცხლე მიჰმადლოს და კვლავაც ამსახუროს ეკლესიისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე
6 დეკემბერი, 2019 წელი.“



სურათებზე: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II აკურთხებს წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიას; პატრიარქი 1996 წლის 8 თებერვალს მიესალმება უნივერსიტეტის სტუდენტებს.

გივი შეყილაძის ფოტო

ტაო-კლარჯეთი – ახლო და შუაღმოსავლი

პროფესორ გუბა კუდავას საჯარო ლექცია

საქართველოს კუთხეთაგან ისტორიული მისიითა და ხუროთმოძღვრული ძეგლების სიმრავლით ერთ-ერთი გამორჩეულია ტაო-კლარჯეთი, მესხეთის, დღევანდელი თურქეთის, საზღვრებში მოქცეული ნაწილი.

ამ განსაკუთრებულ მისიასა და ტაო-კლარჯეთის მატერიალური კულტურის ძეგლებს მიუძღვნა საჯარო ლექცია ისტორიის დოქტორმა, პროფესორმა გუბა კუდავამ, რომელიც თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუმრობდა.

ტაო-კლარჯეთი გამორჩეული იმითაცაა, რომ ის ყველაზე დიდია საქართველოს დაკარგულ ტერიტორიებს შორის. გარდა ამისა, მესხეთის ეს ნაწილი ყველაზე მიუწვდომელიც იყო ქართველ მეცნიერთათვის და, შესაბამისად, შეუსწავლელიც. საქართველოს უკლებლივ ყველა მოსაზღვრის ადმინისტრაციულ ფარგლებშია მოქცეული ჩვენი მიწების დიდი თუ პატარა ნაწილი, მაგრამ პოლიტიკური ვითარება იმგვარად წარიმართა, რომ ყველგან შეეძლო ქართველს მისვლა, გარდა ტაო-კლარჯეთისა. უთუოდ ეს ვითარებაცაა მიზეზი იმ განსაკუთრებული ინტერესისა, რასაც ქართველი კაცი ტაო-კლარჯეთის მიმართ იჩენს. ეს განსაკუთრებული ინტერესი სასულიერო აკადემიისა და სემინარიის აუდიტორიასაც ჰქონდა.

პროფესორი გუბა კუდავა მეორე ათეული წელია, რაც თანამოაზრეებთან ერთად ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე არსებულ მატერიალური კულტურის ძეგლებს იკვლევს. მას აღმოჩენილი აქვს არაერთი ტაძარი, წარწერა, ციხე თუ სხვა ტიპის საფორტიფიკაციო ნაგებობა, რომელთა ნაწილის შესახებ ისტორიულ

წყაროებში იყო მოხსენიებული, მაგრამ უცნობი იყო მათი ადგილმდებარეობა და მდგომარეობა, ნაწილი კი - სრულიად უცნობი იყო. ამ ხნის მანძილზე მკვლევარს, რა თქმა უნდა, დაუგროვდა მდიდარი გამოცდილება და მასალა, რაც გამოცემულიც აქვს წიგნებად. ბუბა კუდავამ აუდიტორიას მოახსენა, რომ სულ ახლახან მისი ხელმძღვანელობით გამოიცა ტაო-კლარჯეთის ისტორიული ძეგლების კატალოგი, რომელშიც შესულია 700-ზე მეტი ტაძარი. მისი ვარაუდით, კვლევის შემდგომი გაგრძელების შემთხვევაში ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან დღემდე ტაო-კლარჯეთის მთელი ტერიტორიის სრულყოფილი კვლევა ვერ მოხერხდა. თითო სოფელს ათი და, ხშირ შემთხვევაში, მეტი ტაძარიც ჰქონია. შეიძლება ითქვას, - აღნიშნა ბუბა კუდავამ, - თითოეულ უბანს სოფელში ცალკე ტაძარი ჰქონდა.

გამორჩეული უნდა ყოფილიყო ტაძართა შენების აქაური მეთოდიც. თითქმის ყველა შემორჩენილი გუმბათი პირვანდელი სახითაა. ეს მაშინ, როცა ამ ტერიტორიაზე არსებული ტაძრები X საუკუნეზე გვიანდელი არაა.

ბუბა კუდავამ ისაუბრა გარემოებათა იმ რიგზე, რაც ტაო-კლარჯეთის გამორჩეულობას განაპირობებს:

ცნობილია, რომ პირველად ტაო-კლარჯეთში აკურთხეს ტახტზე ბაგრატიონთა სამეფო გვარი. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეს პროვინცია გაერთიანებული საქართველოს სამეფოს მესაძირკვლედ იქცა. ამ ტერიტორიაზე მოღვაწეობდა IX საუკუნის ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე და წმინდანი - გრიგოლ ხანძთელი, რომელმაც ააშენა მრავალი ტაძარი. ტაო-კლარჯეთში ყვავდა სამონასტრო ცხოვრება, გადაიწერებოდა და იმკობოდა სახარებები. მაგალითად - წყაროსთავისა და ბერთას ცნობილი ოთხთავები, რომლებიც კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. აქაა შექმნილი დღეს ადიშის სახარებად ცნობილი ოთხთავი, აქ მოღვაწეობდნენ ბექა და ბექენ ოპიზრები...

მომხსენებელმა წარმოადგინა მდიდარი ფოტომასალა, რომლის ფონზეც ორმაგად შთამბეჭდავი იყო მოსმენილი.

ლექციის დასასრულ სტუმარმა სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ბიბლიოთეკას უსახსოვრა თავისი ავტორობითა და ხელმძღვანელობით გამოცემული რამდენიმე წიგნი. მასპინძლებმა კი მაღლიერებისა და პატივისცემის ნიშნად სტუმარს ღვთისმშობლის ხატი უძღვნეს.





საღვთისმეტყველო წერილები

ჭეშმარიტი წინასწარმეტყველის თვისებაები

ყოველისცოდნობა მხოლოდ უფლის ბუნებითი თვისებაა. ღმერთი თავის ერთგულ მსახურებს უცხადებს იმას, რაც საჭიროა ერის გადარჩენისთვის შესაბამის დროსა და ადგილზე. ჭეშმარიტ წინასწარმეტყველთა გვერდით ხშირად ცრუწინასწარმეტყველნი აღასრულებენ თავიანთ საქმიანობას, რომელთაც ხალხი შეცდომაში შეჰყავთ. მისნები, გრძნეულები, მკითხავეები და სხვა მსგავსი პიროვნებები მომავლის ცოდნას იჩემებენ. ცრუწინასწარმეტყველთა გარკვეული კატეგორია დემონური ძალით არის შეპყრობილი. ამის მკაფიო მაგალითი მონტანისტი ცრუწინასწარმეტყველები იყვნენ, რომელთა შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

წინასწარმეტყველების აღსრულება მისი წარმომთქმელის ღვთიებრივლინებულობას ცხადყოფს (იხ.: II შჯულ. 18. 22, იერ. 28. 9). თუმცა, სანამ წინამოსწავებული შესრულდება, მოღვაწის სიმართლე ეჭვქვეშაა. მართალ და თვითმარქვია მოღვაწეთა გარჩევა კი დიდ დაკვირვებასა და სიბრძნეს მოითხოვს. წმინდა წერილში ჭეშმარიტი და ცრუ წინასწარმეტყველის ის თვისებებია მოცემული, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება აღნიშნულ პიროვნებათა ერთმანეთისგან გარჩევა.

ჭეშმარიტ და ცრუ წინასწარმეტყველებს იოანე ღვთისმეტყველი ერთმანეთისაგან ამგვარი თვისებით განასხვავებს: „ამით უწყოდეთ სული ღმრთისა: ყოველმან სულმან რომელმან აღიაროს იესუ ქრისტე ჯორციელად მოსრული, იგი ღმრთისაგან არს; და ყოველმან სულმან რომელმან არა აღიაროს იესუ ქრისტე ჯორციელად მოსრული, იგი არა ღმრთისაგან არს...“ (1 ინ. 4. 2-3). პავლე მოციქული კორინთელებს შეაგონებს: „არავინ სულითა ღმრთისათა იტყოდის და თქუას: შეჩუენებულ იესუ; და არავის ჯელ-ენიფების თქუამად უფალი იესუ, გარნა სულითა წმიდითა“ (1 კორ. 12. 3). ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი იესო ქრისტეს განკაცებულ ღმერთად აღიარებს და საქმიანობას უფლის სადიდებლად აღასრულებს, ცრუწინასწარმეტყველისგან განსხვავებით, რომელიც ადამიანთა ცდუნებას ისახავს მიზნად. წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: „ყოველი რომელი აწსენებდეს სახელსა უფლისა იესუსსა, არა შეჩუენებით, არამედ უფლად და ღმრთად ქადაგებით, ესევეთარი იგი სულითა წმიდითა წინასწარმეტყულებს“ (სამოციქულოს განმარტება, გამოკრებილი იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის [კარიჭის ძის] მიერ, ტ. II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბილისი, 2006, გვ. 278). ხსენებული წმინდა მამის განმარტებით, მოღვაწე, რომელიც იესო ქრისტეს სახელს საერთოდ არ ახსენებს, ან გმობს მას, „ესევეთარი იგი დაღაცათუ რასმე წინასწარმეტყუელბდეს, ცხად არს, ვითარმედ საეშმაკოათა სულითა წინასწარმეტყუელბს. ამისთჳსცა არა წინასწარმეტყუელ, არამედ ცრუწინასწარმეტყუელ სახელ-ედების“ (იხ. იქვე).

შესაძლებელია, გარკვეული პიროვნება, ავტორიტეტის მოპოვებისა და ადამიანთა ცდუნების მიზნით, მაცხოვარს განხორციელებულ ღმერთად სიტყვიერად აღიარებდეს (ამგვარად ეშმაკებსაც კი უღიარებიათ ქრისტე ღმერთად, იხ.: მთ. 8. 29; ლკ. 8. 28; მკ. 1. 24). იაკობ მოციქული აბობს: „ვითარცა ჯორცნი თვნიერ სულისა მკუდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოება თვნიერ საქმეთასა მკუდარ არს“ (იაკ. 2. 26). ცოცხალი რწმენა შესაბამის საქმეებსაც გულისხმობს. ამრიგად, ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი სარწმუნოების შესაბამისი ღვთიესათნო ცხოვრების წესით უნდა გამოირჩეოდეს. უფალი გვაფრთხილებს: „ეკრძალენით ცრუ-წინასწარმეტყუელთაგან, რომელნი მოვიდოდნენ თქუენდა სამოსლითა ცხოვართათა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ. ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი. ნუუკუე შეკრიბიან ეკალთაგან ყურძენი ანუ კუროსთავთაგან ლელვ? ესრეთ ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოს, ხოლო ხემან ხენეშმან ნაყოფი ხენეში გამოიღოს“ (მთ. 7. 15-17). ნაყოფი ადამიანის საქმეებია, შესაბამისად, კეთილი ნაყოფი — ღვთიესათნო ცხოვრების წესი, რაც მუდმივ შრომასა და რუდუნებას გულისხმობს, ხოლო ფარისეველ მოღვაწეს ეს არ ახასიათებს, მისი „ღვთისმომიშება“ გარეგნულ მხარეს არ სცილდება. „დიდაქემი“ ვკითხულობთ: „მოციქულებისა და წინასწარმეტყველების მიმართ სახარების მცნების თანახმად იმოქმედეთ. ყოველი მოციქული, ვინც თქვენთან მოვა, შეინყნარეთ, როგორც უფალი. არ დარჩება იგი ერთ დღეზე მეტად (თუ საჭიროა — მომდევნო დღესაც), და თუ სამი დღით დაყოვნდება, ცრუწინასწარმეტყველი ყოფილა იგი. როცა დაგტოვებთ მოციქული, არაფერი წაიღოს საგზლად, გარდა პურისა; თუ ვერცხლს მოითხოვს, ცრუწინასწარმეტყველი ყოფილა იგი. ნუ გამოცდით და ნუ განსჯით წინასწარმეტყველს, როდესაც სულის მიერ გემეტყველებათ, რადგანაც ყოველი ცოდვა მიეტევება კაცს, ეს ცოდვა კი არ მიეტევება (შდრ. მთ. 12. 31). ყველა, ვინც სულის მიერ მეტყველებს, წინასწარმეტყველი ვერ იქნება, თუ უფლის წესებს არ ფლობს იგი (პროფესორ ედიშერ ჭელიძის თქმით, აქ იგულისხმება უფლისმიერი ცხოვრების წესი (<http://bit.ly/35x94TI>). სწორედ წესთაგან შეიცნობა ცრუწინასწარმეტყველი და წინასწარმეტყველი. ყოველმა წინასწარმეტყველმა, რომელმაც სულის მიერ განანესა ტრაპეზი (შდრ. ბერძნ.: „Καὶ πᾶς προφήτης ὁρίζων τράπεζαν ἐν πνεύματι“. მოტანილი წინადადების თარგმნა შესაძლებელია სხვაგვარადაც. პროფესორი კ. პოპოვი აღნიშნულ ადგილს თარგმნის შემდეგნაირად: „ყოველი სულიერი წინასწარმეტყველი, რომელიც განანესებს ტრაპეზს (ღარიბთათვის, მთარგმნ.)“ (შდრ. რუს.: „И всякий пророкъ въ духѣ, назначающій (для бѣдныхъ) трапезу“ (<http://bit.ly/2S1vypI>). საინტერესოა მ. სოლოვიოვის კომენტარი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: „წინასწარმეტყველებს ჰქონდათ ასეთი ტრადიცია, რომ ქრისტიანთა სახსრებით მართავდნენ ტრაპეზს და-

გაგრძელება მართა გვერდზე ►

ილია



იარსკაცობით ზეალმატებული, იგი უმახვილესი და უნივერსალური დიაპაზონით აღბეჭდილი გონის განსახიერება იყო...

როგორც ჭომო შაპიენს-ი, ის ფიზიოლოგიურ საოცრებას წარმოადგენდა...

იცოცხლა, რათა აელ-ორძინებინა ადამიანთა უზენაესი მისწრაფებანი, უპირველეს ყოვლისა კი სულიერი თუ ეგზისტენციური თავისუფლების უნივერსალური განცდა... ჩვენ ვიცით, რად დაუჯდა მას ეს „დელიკატური ცდომილებანი“...

მან, ვითარცა ადამიანური ყოფიერების ახალი ფორმაციის კანონმდებელმა, ოდენ საკუთარი კალმისა და აზროვნების ძალ-მოსილებით „შეაზანზარა“ მთელი ეპოქის გაქვავებული ჩარჩოები, განავრცო და განადიდა ლიტერატურის საზოგადოებრივი როლი, ეროვნული ღირსების

გამომხატველ „ამბიონად“ და სულიერი კათარზისის წყაროდ აქცია იგი...

ეს ყოველივე ილია ჭავჭავაძის ფენომენის კონცეპტუალური დეფინიციაა...

ილია - მოაზროვნე და მოღვაწე, სულიერ კანონმდებლად მოეწვინა დროთა სიმუხთლისაგან დამცრობილსა და ტყვედქმნილ სამშობლოს, მის უიღბლო აწმყოსა და მომავალს...

კოლოსალურია ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი თუ შემოქმედებითი მოღვაწეობის არსი და დიაპაზონი...

ლიტერატურულ, სოციოლოგიურ, ისტორიოგრაფიულ, ეკონომიკურსა თუ პოლიტოლოგიურ ტექსტებში წარმოდგენილმა მსოფლმხედველობრივმა და მხატვრულ-ანალიტიკურმა პრეზუმფციებმა აღასრულეს ისტორიული მისია, თუმცა ილიასავე დეფინიციით არა ბოლომდე, რამდენადაც მათი სრულყოფილი შემეცნებითი პრაქტიკა ითვალისწინებდა საზოგადოებრივი ცნობიერების სინქრონიზაციას ილიასეული ეროვნული თვითშემეცნებისა და ქრისტიანული ჰუმანიზმის იმ ფორმაციებთან, რომელნიც ირელევანტურნი იყვნენ საუკუნის ცნობიერებისათვის...

სიმპტომურია, რომ თავისი პოეზიითა და პროზით ილია აგვირგვინებდა და უნიკალურ გამომსახველობას ანიჭებდა მისი, როგორც ერის უალტერნატივო პროტაგონისტის რენომეს...

მის მხატვრულ ქმნილებებში სტრუქტურირებული ეროვნული თუ სოციალური მოტივაციები იმ კრეატიული აქცენტებით წარმოსდგნენ, რომელნიც ათვალსაჩინოებენ არა მხოლოდ აწმყოს რეალურ „ანატომიას“, არამედ ამ ავბედითი ისტორიული ფორმაციიდან თავდახსნის გზებსაც...

წარსულ დიდებაზე დაფუძნებული ფუჭი პატივმოყვარეობისა თუ ამაო ფილოსოფიური მეოცნებეობის უარყოფელი, იგი იღვწოდა, რათა რომანტიკული „სიზმრებიდან“ გამოეფხიზლებინა და თავისუფალ სულიერ-ეგზისტენციური ყოფიერებისაკენ მიემართა ღრმა სტაგნაციაში მყოფი საზოგადოების ეროვნული ცნობიერება...

ილიას რეზონანსულ ფიქრთა „გზავნილები“ ჭეშმარიტების გზა-ბილიკებზე მავალი მოძღვრის საკრალურ ღაღადისად „ეფინებოდა“ მშობელ ქვეყანას და არ იყო ძალა, რომელიც შეძლებდა მის დადუმებასა თუ იგნორირებას...

„ - ადრიდა, ავად თუ კარგად, ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ“ - აი, უზენაესი ეროვნული სამრეკლოდან სრულიად საქართველოს გასაგონად დარეკილი „ზარი“, რომლის შთამაგონებულ და მრავლისმეტყველ ხმას ერისთვის უნდა შეეხსენებინა ესოდენ დიდი ხნით გადავიწყებული უპირველესი ფიქრისა და მოქმედების საგანი...

თავისუფალ სამშობლოზე მეოცნებესა და წარსულის ნოსტალგიით მოტივირებულ ერთ „უპოვარ“ მოხვევს ათქმევინა ილიამ საუკუნის ეს საწუკვარი სიტყვები, დარწმუნებულმა, რომ სწორედ ამ უმანკო პატრიოტის ბაგეთაგან ამოთქმული ეს საკრალური „გზავნილი“, ვითარცა ტანჯული მშობელი მინის ყივილი, შეაკრთობდა და გამოაფხიზლებდა ერის მიძინებულ სულსა და გონებას...

გაგრძელება მართა გვერდზე ►

◀ **მეცხრა გვერდიდან**

ამ ჭეშმარიტად ეპოქალურმა ქმნილებამ სათავე დაუდო ილიას ყოფიერების მიზან-სწრაფვას, მისი აზროვნების მოტივაციებსა და მსოფლმხედველობას...

მან, ვითარცა „ქრონიკულმა“ ერისკაცმა, ლამპარივით წინ გაიძლო იგი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ურთულეს გზაზე... დიდ ანდერძად დაუტოვა შთამომავლობას, ვითარცა ისტორიული ტექსტი და მომავლის სტრატეგიული გზამკვლევი...

პოეზია იყო ილიას ლირიკულ თუ ეპიკურ ფიქრთა სავანეცა და ნავსაყუდელიც...

სამშობლოდან შორს იწერებოდა მისი ადრეული ლირიკული შედევრები... პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტის პოეტურ მედიტაციებში გაიბრწყინეს პირველად მისი უნატიფესი სულის ჰარმონიულმა გრადაციებმა... „მოგალოზე“ ქართული სიტყვის იმ მოდულაციებმა, მშობლიური ქვეყნის ნოსტალგიით რომ იყო იმპულსირებული...

ღრმად შთამაგონებელია მისი ლირიკული მონოლოგების „ექსკლუზიური“ სევდამწუხარებანი თუ ანალიტიკურ ფიქრთა გრაციოზული რეგისტრები...

ისინი ილიას იმ გზავნილებად აღიქმება, რომელთა სემანტიკა თაობის ფიქრებითა და ოცნებებით არის გაჯერებული...

ყოფიერების ტრივილური რიტმიდან ამოზიდულნი, ისინი თავისუფალი ადამიანის სულის რომანტიკულ ღირებულებებს უკმევდნენ გუნდრუქს...

სულით რაინდმა, მან, სრულიად ახალგაზრდამ, დრო-ჟამის ტოტალური ანალიტიკა აქცია საუკუნის კოლოსალური ძვრების სათავედ, საზოგადოებრივი აზროვნების უპირობო ორიენტირად...

მისი ლირიკის ანალიტიკური პათოსი მოგვიანებით განსჯის იმ იმპერატიულ იმპულსებად გარდაისახა, რომელთა წინაშეც „თრთოდნენ“ თვით ძლიერნიც კი ამა სოფლისა...

დავით გურამიშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერმა მემკვიდრემ, პოეზიის უკვდავი ქმნილებებით აღბეჭდა ეროვნული კლასიკა და ამით მისი, როგორც ერის განმანათლებლის როლი, კიდევ უფრო ნათელი გახადა...

ადამიანისა და სამყაროს, სულისა და მატერიის, კულტურისა და ცივილიზაციის ილიასეული კონცეფციები კლასიკური ანალიტიკის უთვალსაჩინოეს ნიმუშებს წარმოადგენენ...

ღმერთისა და ქვეყნის, ღვთაებრივისა და ემპირიულის უნივერსალური აღქმა-რეფლექსირებანი მისი უსაზღვროდ ერუდირებული გონებით იმპულსირდებიან და უცხადესი კონფიგურაციებით ავლენენ შემოქმედის ცხადსა თუ „იდუმალ“ საზრისს...

„განდეგილში“ განსახიერდა ილიას ეგზისტენციური მსოფლგანცდის უმნიშვნელოვანესი პარადიგმა - სულისა და ხორცის, რწმენისა და სკეფსისის, საქვეყნო ღვწისა და ასკეტიკის სახით...

ღმერთისა და მშობელი ქვეყნის გულმხურვალე ერთგულების მანიფესტაციაა ამ ღრმადშთამაგონებელი ქმნილების ლაიტმოტივი, საღვთო თუ საერო ღვაწლმოსილების განმსაზღვრელი და შემფასებელი...

დრო-ჟამის „მწვერვალებიდან“ ისე ალბათ არავის მიმოუვლია „არწივისებური“ მზერა თავისი ქვეყნის წარსულისა თუ აწმყოსათვის, როგორც ილიას თავის „აჩრდილში“...

ჩაგრული ქვეყნის მოჭირნახულე და მოქალაქე, ნათელმხილველის ძალისხმევით ჭვრეტს ქვეყნის წარსულის რომანტიკულ და აწმყოს შემზარავ „კადრებს“, ოდესღაც პეროიკულსა და აწ დაკნინებულ რეალობას...

სამშობლოს აღორძინების პანაცეად ილია, უპირველეს ყოვლისა, „შრომის სუფევას“, ანუ სოციალურ სამართლიანობასა და „თანასწორადა ნიჭთა მფენელ“ ფორმაციას მიიჩნევს, რამეთუ მისთვის სწორედ ამ კონცეპტუალური ალტერნატივის რეალიზაცია იყო სათავე თუ წინაპირობა ერის ამაღორძინებელი ენერგიისა...

არის მის ამ ლირო-ეპიკურ ტექსტში ლირიზმის მრთოლვარე და სენსიტიური პასაჟებიცა და „მრისხანე“ იმპერატიული ობერტონებიც...

ეს არის პიროვნება, რომელიც მონოდებული იყო აღედგინა უნეტარეს ისტორიულ ჟამათ პეროიკული პათოსი, პოეტურ ხატებად ექცია წარსულისა და აწმყოს, თავისუფლებისა და მონობის, ამორალიზმისა და მორალის ჭეშმარიტი შეუფერადებელი არსი...

გაქვავებულ და უპერსპექტივო ერთფეროვნებიდან და ამაო ოხვრა-ვაგებიდან თავდახსნის პათოსი მსჭვალავს მასში ილიას დამოკიდებულებას სიტყვასთან თუ მხატვრულ წარმოსახვებთან...

ამიტომაც იძენს მისი, როგორც პოეტის, მენტალობა დრო-ჟამის უზენაესი მსაჯულის მონუმენტურ ფუნქციებს... ფუნქციებს ჭეშმარიტების იმ აღმსარებლისა, ცნობიერების უქმი ფანტომებიდან რომ ათავისუფლებს კმაყოფილების ძილ-ღვიძილში მყოფ საზოგადოებას...

შეგონება იმისა, რომ ერის ცნობიერებაში უნდა იფხიზლოს და იღორძინოს სამშობლოს ერთიანი, მთლიანი ისტორიისა და ქრისტიანული რწმენის ძალმოსილებამ, ილიას მსოფლალქმის ბაზისური კონცეპტია...

შთამაგონებელი და კრისტალურია მისი ეს წადილი, ყოფიერების პრაქტიკიდან მომდინარე და უნატიფესი ესთეტიკურ მოცემულობად გარდასახული...

საგულისხმოა, რომ საკუთარი სიცოცხლის „აპოკალიფსური“ დასასრულის ცხადი შეგრძნება კიდევ უფრო ამძაფრებდა ილიას საზოგადოებრივი თუ შემოქმედებითი ღვწის პათოსს, კიდევ უფრო ტრანსპარანტულს ხდიდა მისი ცნობიერების ძალმოსილებას...

XIX საუკუნის თბილისური არისტოკრატიის ნარცისული ინსტინქტები და სულიერ-ინტელექტუალური რესურსების ამაო ფლანგვის მოძალებული ტენდენცია თვალსაჩინო ილუსტრაცია იყო იმისა, თუ რა ფსიქო-სოციალური ფორმაციის წინაშეც იდგა ილია და ზოგადად მთელი ერი...

ამ დრამატული „ანტურაჟიდან“ გამომდინარე, ილიას მხატვრულ ქმნილებათა სახით ჩვენს წინაშეა დრო-ჟამის ანალიტიკური წვდომითა და სიტყვიერი კოდის კლასიკური მოდულაციებით ლუსტრირებული რეალობა...

ეს იმ ტიპის ლიტერატურაა, ესთეტიკურ ტკბობასთან ერთად საზოგადოების იდენტობას რომ აყალიბებს და აღბეჭდავს მის მორალურსა თუ ეთიკურ სუბსტანციას... დამოკიდებულებას აწმყოსთან და წარსულის ინერციასთან...

გაგრძელება მითითებითა გვერდზე ▶

◀ **მეცხრა გვერდიდან**

რიბებისთვის...“ (<http://bit.ly/2M5NJJa>), არ ჭამოს მისგან; და თუ შეჭამს ცრუნინასწარმეტყველი ყოფილა იგი. ყოველი წინასწარმეტყველი, რომელიც ჭეშმარიტებას ასწავლის, მაგრამ თავად არ მოქმედებს ისე, როგორც ასწავლის, ცრუნინასწარმეტყველია იგი. თქვენ კი ნუ განსჯით იმ გამოცდილსა და ჭეშმარიტ წინასწარმეტყველს, რომელიც ეკლესიის ამქვეყნიური საიდუმლოს თანახმად მოქმედებს (აღნიშნული წინადადების აზრი დაზუსტებით გარკვეული არ არის), მაგრამ არავის ასწავლის იმას, რასაც თავად იქმს. ღვთისაგან განისჯება იგი; ამასვე შვრებოდნენ ძველი წინასწარმეტყველებიც. ვინმემ რომ გითხრათ სულის მიერ: „მომეცით ვერცხლი“, ან სხვა ამგვარი, არაფერი ისმინოთ მისი; ჭირვეულთათვის მისაცემად თუ გეტყვით ამას, ნუ განიკითხავთ“ (<http://bit.ly/35x94TI>).

წმინდა ათანასე დიდი ასე შეგვაგონებს: „ძმაო, თუ ხედავ, რომ ვინმე გარეგნულად კეთილია, ყურადღება ამას კი არ მიაქციო... არამედ მისი საქმეების გამოძიებას შეეცადე: არის თუ არა უბიწო, უცხოთმოყვარე, მონყალე, აღსავსეა თუ არა სიყვარულით, ლოცულობს თუ არა, არის თუ არა მომთმენი? თუ მისთვის მუტცელია ღმერთი, ხოლო ხორხი — ჯოჯოხეთი, თუ ვერცხლისმოყვარეა, უნდა რომ ღვთისმოსაობაში გინწამდღვროს (თუმცა თავად არ არის ღვთისმოსავი, ც. ჩ.), განემორე მას“ (<http://bit.ly/2Eowf6N>).

ძველი აღთქმის ეპოქის წინასწარმეტყველები სიყვარულის უდიდესი ნიჭითა და უფლისადმი ერთგულებით გამოირჩეოდნენ. ღვთის სიტყვის ქადაგების გამო ისინი მრავალ ტანჯვას იტანდნენ საკუთარი თანამემამულეებისაგან: საეკლესიო გადმოცემით, ესაია შუაზე გახერხეს, ამოსი და ეზეკიელი მოკლეს, ხოლო იერემია ქვებით ჩაქოლეს. ამ უკანასკნელმა სიცოცხლის ჟამს მრავალი დევნა და გაჭირვება გადაიტანა. იგი ერის ღალატშიც კი იყო ბრალდებული (იხ. იერ. 37. 13-15; 38. 4). წინასწარმეტყველთა დევნისა და მკვლელობის ფაქტებს უფლისადმი მიმართული ელიას სიტყვაც ცხადყოფს (იხ. 3 მეფ. 19. 10). ებრაელი ერის ამგვარი მოპყრობა წინასწარმეტყველებისადმი მაცხოვრის ფარისევლთა სამხილებლად მიმართული სიტყვითაც დასტურდება (იხ. მთ. 23. 34).

მიუხედავად იმისა, რომ ებრაელი ერი უფალს ხშირად ეურჩებოდა, შემოქმედისადმი უმადურებას ავლენდა, კერპთმსახურებას ეძლეოდა და ზნეობრივად ირყენებოდა, წინასწარმეტყველებს თანამემამულეები განსაკუთრებით უყვარდათ. საკუთარი ერის მიმართ ისინი უდიდეს თანაგრძნობას იჩენდნენ, მათ განსაცდელებს იზიარებდნენ, მათი უბედურების გამო ტიროდნენ და გლოვობდნენ. ღვთიერჩეული ერისადმი მოსეს უდიდესი სიყვარული მისივე სიტყვებით გამოიხატება: „და აწ მი-თუ-უტევებ ცოდვათა მათთა, მიუტევენ, უკუეთუ არა, აღმოცე მეცა წიგნისა მისგან, რომელსა დამწერე“ (გამოსლ. 32. 32). სიყვარულისა და თანაგრძნობის განცდითაა გაჯერებული ესაია წინასწარმეტყველის შემდეგი სიტყვები: „მაცადეთ მე, და ვტიროდი მწარედ; ნუ მძლევთ მე ნუგეშინისცემად შემუსრვილებასა ზედა ასულისა ნათესავისა ჩემისასა“ (ეს. 22. 4). იერემიამ იერუსალიმის განადგურებასთან დაკავშირებით გოდების წიგნი დაწერა, ხოლო ეზეკიელი, გადმოცემით, ბაბილონში გადასასახლებლად წაყვანილ ებრაელებს ნებით გაჰყვა.

უფალი წინასწარმეტყველებს სხვათათვის დაფარული ცოდნის სიღრმეებს უცხადებდა. სულიწმიდა ასეთ ადამიანებს მოუწოდებდა, ანათლებდა, წინამძღვრობდა და მათი მეშვეობით რჩეულ ერსა და მთელს კაცობრიობას ესაუბრებოდა. მიუხედავად ამ დიდი პატივისა, რომელიც უფლისგან ებოძათ წინასწარმეტყველებს, ისინი თავმდაბლობას ინარჩუნებდნენ. აბრაამი საკუთარ თავს „მინას“ და „ნაცარს“ უწოდებს (იხ. დაბ. 18. 27); დავითი — „მატლს“ (იხ. ფსალმ. 21. 7); ესაია — „ბაგეუწმინდურს“ (იხ. ეს. 6. 5) და ა. შ.

წინასწარმეტყველთათვის თვისობრივია საღვთო შური. უფლის „შეკითხვას“, თუ ვინ უნდა წარეგზავნა მას ებრაელი ერის დასამოძღვრად, ესაიამ უპასუხა: „აჰა-ესერა, ვარ, მიმავლინე მე“ (ეს. 6. 8)! ელია წინასწარმეტყველსაც ახასიათებდა იგივე თვისება, ამას მისივე სიტყვები მოწმობს: „შური შემშურდა უფლისა ღმრთისა ყოვლისა-მპყრობელისა...“ (3 მეფ. 19. 10).

უფლის გამოცხადებისა თუ წინასწარმეტყველების ჟამს ამ დიდებული ნიჭის მქონე მოღვაწეებს უნარჩუნდებათ თავისუფალი ნება და ჯანსაღი გონება. ამის საპირისპირო თვისება ახასიათებდათ მონტანისტ ცრუნინასწარმეტყველებს.

ეკლესიის მამები ზემოხსენებულ მოსაზრებას ხშირად გამოთქვამენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამასთან დაკავშირებული პირველი გამოკვეთილი აზრი ორიგენესთან გვხვდება („De principiis“ (წიგნი III). მას უდიდეს ცდომილებად მიაჩნია ადამიანზე სულიწმიდის მოქმედების ჟამს განმსჯელობითი უნარის დაქვეითება. ამ დროს, მისი რწმენით, მცირედი ცნობიერი ბუნდოვანებაც კი შთაგონების მიღების დამაბრკოლებელია. მისივე თქმით, წინასწარმეტყველების ჟამს ადამიანის ნორმალური ფსიქიკური ფუნქციონირება არ წყდება და მას თავისუფალი ნება და განსჯის უნარიც უნარჩუნდება.

მსგავსი აზრი გამოთქვას წმინდა ეპიფანე კვიპრელმა, ნეტარმა იერონიმემ, წმინდა იოანე ოქროპირმა და სხვებმა. ისინი ერთხმად აღიარებენ და გვასწავლიან, რომ წინასწარმეტყველება არის შინაგანი გაცისკროვნება, რომელიც მისი წარმომთქმელის მიერ ცნობიერად აღიქმება. წმინდა ეპიფანე გვაუწყებს, რომ წინასწარმეტყველები თანმიმდევრულად აზროვნებდნენ, აცხადებდნენ რა ღვთის ნებას: „ჭეშმარიტ წინასწარმეტყველთა თვისებები იმგვარია, რომ სულიწმიდის მო-

გაგრძელება მითითებითა გვერდზე ▶

◀ *მეათე გვერდიდან*

ქმედებისას ცნობიერებაც, სწავლებაცა და საუბარიც მათ ჯანსაღი აქვთ“ (Святитель Епифаний кипрский, Творения, ч. 2, Москва, 1864, стр. 307). ნეტარი იერონიმე ნიშანდობლივად აღნიშნავს, რომ წინასწარმეტყველები არ ლაპარაკობდნენ დაბინდული გონებით, „თითქოს არ იცოდნენ, რას წარმოთქვამდნენ და, ასწავლიდნენ რა სხვებს, თავად არ ესმოდათ, თუ რას ამბობდნენ“ (Блаженный Иероним Стридонский, Творения, ч. 7, Киевъ, 1882, стр. 3). იგივე ეკლესიის მამა აღნიშნული აზრის დამადასტურებელ ფაქტად წინასწარმეტყველთა ღვთივგანბრძნობილობას მიიჩნევს (იხ.: ფსალმ. 50. 8; ეზეკ. 28. 3). მისი თქმით, უაზრობაა მივიჩნიოთ, რომ ღვთივგანბრძნობილი პიროვნება დაბინდული გონებით შეიძლება მოქმედებდეს (იხ. იქვე; შდრ. იგავ. 16. 23: „გულმან ბრძნისამან ცნის თვისისაგან პირისა და ბაგეთა ჰმოსიეს მეცნიერებაა“).

განსაკუთრებულ სიმძაფრეს იძენს წმინდა იოანე ოქროპირის განმარტება. მისი თქმით, ეშმაკეულ წინასწარმეტყველს ახასიათებს „იძულება და ძალადობის განცდა, გატაცება და გაშმაგება, როგორც ეშმაკეულს. ხოლო წინასწარმეტყველი არაა ასეთი, არამედ ის ყველაფერს ამბობს ფხიზელი სულითა და სალი გონებით, რადგან იცის, რას ლაპარაკობს“ (Святитель Иоанн Златоуст, Творения, т. 10, кн. 1, С.-Петербургъ, 1904, стр. 286).

ამრიგად, მონტანისტი ცრუწინასწარმეტყველი იყო ადამიანი, რომელიც მისნობისას შმაგდებოდა, არანორმალურ და არაცნობიერ მდგომარეობაში ვარდებოდა. ეს თვალსაზრისი ტერმინ *μάντις* მნიშვნელობითაც დასტურდება. *μάντις* მომდინარეობს სიტყვიდან *μαίνομαι*, რაც ნიშნავს „ვგიჟდები, ვიმყოფები შეშლილ მდგომარეობაში“. წმინდა ეპიფანე კვიპრელი ასე ახასიათებს მონტანისტ ცრუწინასწარმეტყველებს: „ხოლო ესენი გვპირდებიან, რომ გვწინასწარმეტყველებენ, თუმცა ჩანს, რომ საკუთარ თავსაც ვერ ფლობენ და სიტყვაშიც ვერ იცავენ თანმიმდევრულობას, რადგან მათი გამონათქვამები ბუნდოვანია, გაურკვეველია, და არანაირ კონკრეტულ შინაარსს არ შეიცავს“ (Святитель Епифаний кипрский, Творения, ч. 2, Москва, 1864, стр. 308). წმინდა იოანე ოქროპირის თქმით: „ეშმაკი იწვევს შემოილობას, სიმშაგეს და (გონების, ც. რ.) დიდ დაბნელებას, ხოლო ღმერთი — განანათლებს და შეგნებულად (ე. ი. პიროვნება გონების ჯანსაღ მდგომარეობაში განისწავლება უფლისაგან, ც. რ.) ასწავლის იმას, რაც ეგების“ (Святитель Иоанн Златоуст, Творения, т. 10, кн. 1, С.-Петербургъ, 1904, стр. 288). ამასთან, ის ფაქტი, რომ გამოცხადების დროს წინასწარმეტყველები ღრმად განიცდიან საკუთარ შინაგან მდგომარეობას და თავს უღირსად მიიჩნევენ (იხ.: ეს. 6. 5, იერ. 1. 6), ხილვის დროს მათი ცნობიერების სიჯანსაღის დასტურია.

უფალი არასოდეს ართმევდა ადამიანს თავისუფალ ნებას (რომელიც ადამიანში ღვთის ხატების განუყოფელი ნაწილია). წინასწარმეტყველებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ ექადაგათ, ან დადუმებულიყვნენ. ეზეკიელის ნიგნში იმის მკაფიო მაგალითია მოცემული, რომ სხენებულ მოღვაწეებს თავისუფალი ნება ყოველთვის უნარჩუნდებოდათ: „და ყურბეული ქრთილისაჲ ჭამე შენ იგი, ფუნასა სკორისა კაცობრივისასა დაჰვლა იგი წინაშე თუალთა მათთა... და ვთქუ: ნუსადა, უფალო ღმერთო ისრაჲლისაო! რამეთუ არასადა შეგინებულ არს სული ჩემი არანმიდითა და მკუდრისაჲ და ნამხეცავი არა მიჭამიეს შობით ჩემითგან ვიდრე აქამომდე, არცა შესრულ არს პირსა ჩემსა ყოველი ჯორცი ბილნი“ (ეზეკ. 4. 12, 14).

ასე რომ, უფლის გამოცხადების ჟამს ეზეკიელ წინასწარმეტყველს თავისუფალი ნება შენარჩუნებული აქვს და სალად აზროვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარი იქნებოდა ხსენებული წინასწარმეტყველის მიერ უფლის ბრძანების სიტყვა-სიტყვით აღსრულებისაგან თავის შეკავება. მსგავსი მოწმობაა მოცემული იონა წინასწარმეტყველის ნიგნში: „და აღდგა იონა სივლტოლად თარშიდ პირისაგან უფლისა...“ (იონ. 1. 3). მოტანილმა მაგალითმა ცხადყო, რომ ღვთის ბრძანების აღსრულების გამო, უფალს იონა წინასწარმეტყველისთვის თავისუფალი ნება არ წაუერთმევია. ამავე აზრის დამადასტურებელი მოწმობა მოიპოვება პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში: „ხოლო წანაჲსწარმეტყუელნი ორნი გინა სამნი იტყოდედ, და სხუანი იგი სცნობდედ. უკუეთუ სხუასა გამოეცხადოს მუნ მჯდომარეთაგანსა, პირველი იგი დუმენინ“ (1 კორ. 14. 29-30). მოყვანილი მუხლის მიხედვით, წინასწარმეტყველებისას ხსენებული მოღვაწენი თავისუფალ ნებას და განსჯის უნარს არ კარგავდნენ, მათ შეეძლოთ განეცხადებინათ ან შეენყვიტათ წინასწარმეტყველება.

წინასწარმეტყველთა ერთ-ერთი ღვთივსათნო თვისებაა შემოქმედისადმი მორჩილება. მათი ქმედებანი უფლის ნებაზე იყო დამყარებული. ამ თვისებით გამოირჩევა ნოე. ხსენებული მოღვაწის ღვთისადმი მორჩილებას წმინდა წერილის შემდეგი სიტყვები მოწმობენ: „და ქმნნა ნოე ყოველნი, რაოდენნი ამცნო მას უფალმან ღმერთმან, ეგრეთ ქმნნა“ (დაბ. 6. 22). ამგვარივე სათნოებით გამშვენებული პიროვნების უდიდეს მაგალითს წარმოადგენს აბრაამი. შემოქმედისადმი მორჩილება იყო ერთ-ერთი მთავარი თვისება, რის საფუძველზეც ესოდენ საკვირველ და ძნელად აღსასრულებელ **სიმბოლურ ქმედებებს** ახორციელებდნენ წინასწარმეტყველები. ღვთის ბრძანებით, ესაია სამი წელი განმოსილი დადიოდა, ოსემ ორგზის იქორწინა მეძაზე, იერემია ქედით უღელს ატარებდა, ეზეკიელი დიდი ხნის განმავლობაში ჯერ მარცხენა, შემდეგ კი მარჯვენა გვერდზე იწვა, საკმაოდ მცირე და უსიამოვნო საკვებს იღებდა და ა. შ.

ამრიგად, წინასწარმეტყველნი არიან ღვთივსათნო ცხოვრების წესით გამორჩეული და ჭეშმარიტი სარწმუნოების მქონე მოღვაწენი. ისინი, იღებენ რა გამოცხადებას უფლისაგან, აღივსებიან სულიწმიდით და ხალხს მომავალს აუწყებენ. ამასთან, გაცნობიერებულად მოქმედებენ. ხსენებული მოღვაწენი არიან ზეშთაგონებული პიროვნებები, რომელთაც ხილვისა და ქადაგების დროს უნარჩუნდებოთ ჯანმრთელი ცნობიერება, განსჯის უნარი და თავისუფალი ნება.

ცოტნე ჩხაიძე,
თეოლოგიის დოქტორი

◀ *მეათე გვერდიდან*

ესთეტიკა, როგორც განსახიერება მორალისა, ილიას მხატვრულ ქმნილებათა პრიორიტეტული კონცეპტია...

მისი ლიტერატურული ტექსტების სრულყოფილი შემეცნება მკითხველს „აიძულებს“ ყოფნას არა „გარეთ“, არამედ „შიგნით“ - ნარატივის შთამაგონებელ „სიმზურვალეში“, იმ მონუმენტურ მხატვრულ რეალობაში, რომელიც გათავისუფლებს უქმი ყოფიერების „დიქტატისაგან“, გამოგცდის და გამოწვევათა წინაშე გაყენებს... გაყენებს იმ ეგზისტენციური დისკურსის წინაშე, ძლიერ ადამიანურ ვნებებს რომ აძლევს დასაბამს, ანუ გამაღლებს კათარზისულ თვითშემეცნებამდე, ინერტული სულის აღორძინებამდე...

ერის ყოფიერების ილიასეული მოძღვრება ღრმადშთამაგონებელს ხდიდა მხატვრულ ტექსტთა რელევანტურ მიზანსწრაფვასა და შემეცნების სტატუსს...

მწერლის პროზაულ ქმნილებებში მკითხველის თვალწინაა წარსულის დეფორმირებული ინერციით დათრგუნული სოციუმი...

მათში საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმი და შინაგანი სულიერი რეგრესია წარმოდგენილია როგორც გლობალური დესტრუქციის ლოგიკური გამოვლენა და არა ოდენ ლიტერატურული მეტაფორა...

ამიტომაც აღიქმება მისი „კაცია-ადამიანი?!“ ერთგვარ სოციალურ სატირად და ერის გონებრივი დაკნინების ეპოქალურ მისტერიად...

გროტესკული ბუტაფორიები მოთხრობის ოდენ ფასადია, რომლის მიზანი ეროვნული ყოფიერების უაპელაციო მარგინალიზაციაა... ქვეყნის ამაო ძილ-ღვიძილის ხატოვანი რეპრეზენტაციაა...

შემცდარია ის, ვინც ფიქრობს, რომ უსახურ „ზმანებებში“ ჩაძირული ოჯახების უზრუნველი ყოფა და გონებრივი სიჩლუნგე, მხოლოდ იმ ძველი დროებისა და სოციალური წრის „პრივილეგია“ იყო, ლუარსაბი და დარეჯანი რომ ეკუთვნოდნენ... ილიას წვდომის მასშტაბები სრულიად უნივერსალურია...

ცხადია, რომ მოთხრობის მთავარ პერსონაჟთა ზუსტ პროტოტიპებს, ბევრიც რომ მოეძია მწერალს, ვერ იპოვიდა... ილიას კოლოსალურმა გუმანმა შეიგრძნო, გამძაფრა, გროტესკული კონოტაციებით აღბეჭდა და მხატვრულ რეალობად გარდასახა უმრავლესობაში ფესვგადგმული უზნეო უნიათობისა, თუ „მსუყე“ პატივმოყვარეობის გამძლავრებული „მეტასტაზები“...

მხოლოდ ილიასეული ამგვარი ოდიოზური სახე-მეტაფორები თუ შეასრულებდნენ თავის რეზონანსულ საზოგადოებრივ ფუნქციას...

სიმპტომურია ისიც, რომ სატირისა და გალანტური იუმორის ჰარმონიაა ამ გენიალური მხატვრული ოპუსის ესთეტიკური „ვექტორი“... პერსონაჟებისადმი თანაგრძნობისა თუ ანტიპათიის მონაცვლეობა სწორედ ამ მოდულაციებიდან იმპულსირდება...

ალბათ ისიც ფრიად საგულისხმოა, რომ ღრმა ტკივილისა და სინანულის ინტონაციები მსჭვალავს მოთხრობის სიუჟეტურ სივრცეს... ეს ის ონტოლოგიური განცდაა, რომელსაც ქვეცნობიერად თვით ამორფული ფსიქიკის პერსონაჟებიც კი გრძნობენ...

დრო-სივრცეში უნუგეშოდ ჩაკარგულნი და ინსტინქტების მიერ ტყვედქმნილნი, ისინი უმწეონი არიან ერთმანეთის მიმართაც კი... და როგორც ლოგიკური შედეგი ამ საერთო უფამობისა, ოდიოზური ძილ-ღვიძილია ხვედრი მათი...

ილია, როგორც არა მხოლოდ ჟამთააღმწერელი, არამედ როგორც უმძაფრეს ეროვნულ პრობლემათა „დეტონატორი“ და უკეთურებათა „აღმგველი პირისაგან მიწისა“ - ასეთად წარმოსდგა იგი არა მხოლოდ ამ განუმეორებელი ღირსების ქმნილებაში...

როგორ „იმუშავა“ მწერლის ამ გროტესკულმა პარადიგმამ და როგორ აღიქვა იგი საზოგადოებამ, განსხეულდა თუ არა მასში ქმნილების კრიტიკული კონოტაციებით მოდელირებული იდეოლოგია - რიტორიკული კითხვაა და ოდენ ჰიპოთეტურ კონტექსტში წარმოსადგენი...

უდიდესი ნაყოფიერებითა და აქტუალობითაა აღბეჭდილი ილიას კრიტიკული თუ პუბლიცისტური მოღვაწეობა...

ქვეყანა და ხალხი, წარსული, ამწყო და მომავალი... ფიქრები, კონცეფციები, განმარტებანი - ის თემატური „მოზაიკაა“, რომელმაც ფაქტობრივად ამოწურა ეპოქის ცნობიერების უნივერსალური დიაპაზონი და იქცა XIX საუკუნის სულიერ-ინტელექტუალურ ენციკლოპედიად...

აქაც ზემთაგონებისა და რაციონალური აზროვნების სინერგიაა ილიას ანალიტიკური აზროვნების არსებითი დისკურსი...

მისი კულტურულ-ისტორიული ცნობიერების მასშტაბები და რეფლექსირების ჭეშმარიტად ევროპული ტიპის მეთოდოლოგია ის კონცეპტუალური ფუნდამენტია, რომლის ძლევამოსილ დიალექტიკაზეც იზარდა და ილორძინა ილიას ფენომენმა, მისმა დროისა და ყოფიერების „აქტივობაში“ განდობილმა ნაფიქრ-ნააზრებმა...

სიმპტომურია, რომ ყოველი მისი ქმნილება მომავალზე ორიენტირებული „გზავნილია“, ერის სულიერი ხატის სიმბოლო და იდენტობის გენერატორია...

1907 წლის ზაფხულის ერთ ოდენ ავადსახსენებელ დღეს, წინამურთან, სამშობლოს ფიზიკური და სულიერი გადარჩენისათვის ბრძოლებში დაღლილი ილია ტყვიით განგმირული გაეცალა ამ წუთისოფელს...

ნუთუ შეიძლება ოდესმე ქართველის წინაშე ამოიზარდოს უფრო მეტად შემადრწუნებელი ეროვნული სტიგმა, ვიდრე წინამურის, ამ ქართული გოლგოთის სისხლიანი „მისტერია“...

„თუკი ადამიანი სამოცდაათი წლისაა, არ შეიძლება, რომ მან ზოგჯერ მაინც არ იფიქროს სიკვდილზე... ეს აზრი მე სრულიად მშვიდად მტოვებს, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ სული ჩვენი - როგორც ასეთი, სულაც არ ემორჩილება წამლას და აგრძელებს სიცოცხლეს მარადისობაში... იგი მზეს ჰგავს, რომლის ჩასვლა მხოლოდ ჩვენი მიწიერი ხილვის ნაყოფია, ანუ საერთოდ არასოდეს ჩადის და განუწყვეტლივ აგრძელებს ნათებას“... რა საოცარი ანალოგიაა გოეთეს ამ საკრალურ ვიზიონსა და სულის უკვდავების ილიასეულ რწმენას შორის...

◀ პეიტი დუჰიძისი

გონებრივი სიბრმავის, უმეცრებისა და სიძულვილის ჟამი ალბათ მაინც წარსულს ჩაბარდა... რამეთუ საქართველოს მართლმადიდებელმა, სამოციქულო ეკლესიამ ილია ქავჭავაძე წმინდანად შერაცხა...

დაუვინყარია საოცარი მინიშნებით აღბეჭდილი ის ერთი, ილიასეული დღე... ვით შეიმოსა ღრუბლებით დათალხული თბილისის ზეცა რაღაც ღვთაებრივი მშვენებით... ორმა ვეებერთელა ცისარტყელამ როგორ დათრგუნა და იდუმალი აღმაფრენის სიხარულით განაბრწყინა შემოდგომის გადაფითებული ატმოსფერო...

ილიას წმინდანად აღიარების ჟამმა თავისი საკრალური საზრისი თითქოს იმ ფანტასტიურ ცისარტყელათა ფერადოვანი ათინათებითაც განასახოვნა, რომელთა კრეატიული სიმბოლიკა ესოდენ ღრმად სწამდა „აჩრდილის“ ავტორს...

ვინ იცის, ამგვარად ამეტყველებულ ზეციური „გზავნილით“ რა ეუნყა ერის აღორძინების რწმენით გამსჭვალულ ქვეყნის ჭირისუფალთ...

რთულზე რთულია ილიას უნივერსალური ფენომენის ამომწურავი დეფინიცია... ანალიტიკური იმპროვიზაციის უდიდესი ინსპირატორია იგი... არსებითი კი ის არის, რომ იგავმიუწვდომელი მოღვაწეობისა და კოლოსალური სულიერი „გაკვეთილები“ სათვის“ გააუკვდავა იგი ქართველმა ერმა...

განახატა, ვითარცა ქრისტიანულ სათნოებათა ტაძარი და ამოუწურავი სულიერი საგანძური...

„ილიალოგიის“ სრულყოფილი აღქმა და შემეცნება პერმანენტული ინტელექტუალური პროცესია... მოაზროვნე და მაძიებელი გონის ზრდისა და აღორძინების უპრეცედენტო წყაროა...

იმ კულტურული გამოცდილებისა და ერუდიციის განსახიერებაა, რომელსაც ხელეწიფებოდა ემპირიკა ექცია ანალიტიკური წვდომისა და ამაღლებული ვენების შთამაგონებელ სამყაროდ, აღმოეჩინა დრო-ჟამის ტირანიისაგან თავისუფალი ყოფიერების ახალი „ნესრიგი“ და განეჭვრიტა წარსულის, აწმყოსა და მომავლის ფატალური დაპირისპირების ოდიოზური შედეგები...

საუკუნის სრულუფლებიანმა მეუფემ, მან განსაცვიფრებელი მნიშვნელობებით აღბეჭდა მისგანვე სულჩადგმული ჟამი ჩვენი ტანჯული ისტორიისა...

P.S.

„მე ან ესერა მშვიდობასა დაგიტოვებ შენ და არღა იხილო პირი ჩემი ხორციელად, ვიდრე უფლისა დიდებით მოსვლამდე, ან დაღაცა თუ ხორციტა განგეშორები, ხოლო სულითა მარადის შენთანა ვარ შეწევნად შენდა“... სულიერი გასხივონების გამომხატველი ეს შთამაგონებელი ტირადა „ზეცისა კაცად და ქვეყნისა ანგელოზად“ ნოდებული გრიგოლ ხანძთელის პროვიდენციული გზავნილია და მისი „გამეორების“ უფლება მასავით წმინდანსა და ჭეშმარიტ ერისკაცს თუ ჰქონდა...

მყინვარზედ მდგარი ღვთაებრივი მოხუცებულის ნათელხილვებით აღბეჭდილი მონოლოგი ოდენ ღალადისა თვით ილიას უკვდავი სულისა, რომლისთვისაც დღესავით ნათელი იყო მისი, როგორც ერის მარადიული თანმდევი სულის საკრალური ხვედრი... ხვედრი რჩეულისა, რომელმაც ბედკრული ადამიანური ყოფიერების „ვინრო და კლდოვანი“ გზა-ბილიკები დიდების მწვერვალებამდე აზიდა და კონსერვატიზმით დათრგუნული ჟამი თავისუფალ ერად აღორძინების უალტერნატივო რწმენით „აამეტყველა“ ...

იმ საკრალური რწმენით, რომლის საფუძველთსაფუძველი მისთვის სათაყვანებელი „ქრისტეს რჯული“ იყო...

„ქრისტე ღმერთი - ბრძანებდა იგი - ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენ ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველომ გადავუღდე მკერდი და ამ მკერდზეც, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გაგწყდით, გავიფლიტენით, თავი და ცოლ-შვილი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს - სამართლიანის თავმომწონებით ვეძახით“...

ეს მხოლოდ ერთი ფრაგმენტია იმ მრავალრიცხოვანი მედიტაციებიდან, ქრისტიანობის აპოლოგიით რომ არიან აღბეჭდილნი...

მათი ღრმადშთამაგონებელ არგუმენტაციათა პასაჟები კიდევ უფრო ცხადად წარმოგვადგინებენ ქრისტიანობას, როგორც სულიერი კათარზისის ჭეშმარიტ წყაროს, და რაც მთავარია, როგორც ქართველი ერის კონსოლიდაციისა და ერთიანობის ბურჯს... როგორც ერად დამამკვიდრებელ „ქვითკირს“, ცხოვრების გზასა და სამოთხის გასაღებს...

ასეთია წმინდანად შერაცხილ ქართველთა ერთი უდიდესი ერისკაცის ღვანლ-მოსილების ძალზედ ფრაგმენტული აბრისი...

მთავარი კი ალბათ ის არის, რომ მის კოლოსალურ ფიქრთა თუ შეგონებათა ესოდენ შთამბეჭდავი, ანუ უნიკალურ ეროვნულ სულიერ კულტურასთან მაზიარებელი ქმნილებანი, ღვთისა და ერის საკრალური სიყვარულიდან იშვა, რათა სასო-მიხილ ქვეყანას ნუგეშად და თავისუფალ ერად აღორძინების იმედად მოჰფენოდა...

გურამ პანაშვილი

საღვთისმეტყველო წერილები

ავისკოპოსი ილია მინიატისი

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება

სოლომონ მეფის სახელი ცნობილი და განდიდებული იყო იმ დროის ყველა ხალხთაგან. მთელი ქვეყნიერება აღიარებდა მას სიბრძნის ღვთიექმნილ სამკვიდრებლად, ღმერთის ყველაზე საკვირველ და ცნობილ ქმნილებად. ერთხელ საბას დედოფალი, მრავალრიცხოვანი ჯარით გაემგზავრა იერუსალიმში, სოლომონის ქალაქში, რომ მისი აგრეირგად განდიდებული სიბრძნის რაიმე მტკიცებულება ენახა და უფრო მეტად დარწმუნებულიყო იმაში, რაც მრავლისგან სმენოდა. იქ მისვლისას თავისი მეფური სულის გულუხვობის წარმოსაჩენად, იმ სახეობის ყვავილები მიაერთა მას, რომლებიც სოლომონის სამეფოში არ ხარობდნენ. სამაგიეროდ, ასტრონომიის შესახებ მშვენიერი წიგნი მიიღო, ცისა და ვარსკვლავების განსაკუთრებული იდუმალი თვისებებით.

როგორ წინამაუწყებლობს „ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების“ დღესასწაულის შესახებ? ბრძენი სოლომონი განასახიერებს ყოველთა მეფეთა მეუფესა და უფალს, ყოვლისმყრობელ ღმერთს, რომლის დაუსაბამო სიბრძნეც გადმოღვრილია ყოველივე მინიერსა და ზეციურზე, ხილულსა და უხილავზე – „და ყოველივე სიბრძნით ქმენ“ (ფს. 103,24); ამიტომ ამბობს წინასწარმეტყველი დავითი: „ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა მათი... და კიდეთა სოფლისათა სიტყვანი მათნი“ (ფს. 18,5) საბას დედოფალი – არის დედუფალი ცისა და ქვეყანის, ანგელოზთა მბრძანებელი საღვთო ყრმა მარიამი, რომელიც ან, აღდგა და წარვიდა თავისი ქვეყნიდან, მამისეული სახლიდან არა შეიარაღებული მხედრების თანხლებით, არამედ წმიდა ქალწულთა თანხლებით. „მიერთუნენ მეუფესა ქალწულნი შემდგომად მისსა... გალობითა და სიხარულითა და შეიყვანნენ იგინი ტაძარსა მეუფისასა“ (ფს. 44, 14-15).

სოლომონის საიდუმლო სახლში, ღვთის ტაძარში მიდის ის, და მართმევს მას ყვავილებს, ანუ კაცობრივ სხეულს, რომელიც ყვავილივით ჭკნება, – „კაცი, ვითარცა თივა არიან დღენი მისნი, ვითარცა ყვავილი ველისაჲ ეგრე აღყუავდეს“ (ფს. 102,15). ეს სხეული ღვთის სასუფეველში არ იყო, რადგან ზეცაში ყოველივე უნივთო და უხრწნელია. სამაგიეროდ, ქალწული ღვთისგან იღებს ღვთიური მადლის წიგნს, რომლის მიერაც ადვილად შედის ზეცაში, სამოთხისეულ ნეტარებაში. ო, კურთხეული ნამი, როცა ქალწული შედის ღვთის ტაძარში, ჩვენს მიმყვანებელ ღვთიურ მადლთან! ო, მადლმოსილი დღე, როცა დაუსაბამო მამა იღებს თავის სახლში თავის ასულს, ძე – დედას, სულიწმიდა – რძალს! ო, სიდიადე დღესასწაულის, მხიარულობენ იოაკიმ და ანა, მიჰყავთ ტაძარში ასული, რომელიც ღვთის დამტევნელი გახდება! წმიდა წმიდათა შვენდება, წმიდათა უწმიდესის მისაღებად; ზეციური ხარობს მინიერთან ერთად და მთელი სამყარო იდუმალ დღესასწაულობს. და როგორც მაშინ, ღვთის ტაძარში შესულ ქალწულს ესმა ამბორისყოფა და მისაღება ზაქარიასი, ასევე მეც მიხმს მისთვის მისაღებელი სიტყვის წარმოთქმა ამ დღესასწაულზე.

რადგან გამოუცდელ მოწაფეს საკმარისი ძალა არ მყოფნის, მივმართავ მას, ვინც აპირებს სიტყვის დედობას, მოჰმადლოს ჩემს ბაგეებს სიტყვები მისსავე განსაღიებლად.

აღდგა მარიამ და წარვიდა...

ეჰა, ალექსის კიდობანთან მიმავალი უწმიდესი მტრედი, პირველმშობელთა წყევლისაგამო წარღვნის დასრულების მაჟნეებელი. ეჰა, სულისა წმიდისა სძალი უწმიდესი, საქორწინედ მიმავალი. ეჰა, ზეციური დედუფალი „სამოსლითა ოქროქსოვილითა შემკულ და შემოსილ“ მივმართება ტაძარსა მეუფისასა. ეჰა, იდუმალი ტაკუკი, ზეციური მანანის შემწყნარებელი. ვითარცა შვენის, უმშვენიერესი ქალწულები, ანთებული ლამპრებით აცილებენ დედასა ნათლისასა; ჯერ არს, რომ ვარსკვლავებივით მოელვარე სანთლებით თანაუფიოდნენ მას, ვინც მშვენიერია, ვითარცა მზე, რჩეულ ვითარცა მთოვარე. როცა ქალწული ყოვლადწმიდა სულზე იწინდებოდა, ვინ უნდა ყოფილიყვნენ მისი მეგობრები, თუ არა ლამპრის მტვირთველი ქალწულები? და, როგორ ხარობდნენ, ალბათ, იოაკიმ და ანა, როცა თავიანთ ყრმა ასულში უდიდეს სინმიდეს, სამი წლის ბავშვში – ყოვლადწმიდა სამების ყველა ნიჭს ხედავდნენ! რამდენ სამადლობელ გალობას აღუვლენდნენ ღმერთს, იმის გამო, რომ, როგორც ისინი ხვდებოდნენ, მომადლა მათ ასული, დიდების მეუფის წმიდა საყდრად რომ უნდა ქცეულიყო. სულის როგორი ზეიმურობით შეხვდებოდა ზაქარია ღვთიურ ყრმა მარიამს! მან უწყოდა სულიწმიდის წინასწარმეტყველება, იმის შესახებ, რომ ის იქნებოდა იაკობის მიერ ნანახი კიბე, რომლისა მიერ ძე და სიტყვა გარდამოვიდოდა მინაზე და ადამიანი აღვიდოდა ზეცად! რა თქმა უნდა, სწორედ ამაში მდგომარეობდა ქალწულის ჭეშმარიტი დანიშნულება. მაგრამ ეს რომ უკეთ გავიგოთ, ყურადღებით მოვისმინოთ:

ღვთის სიტყვა იმდენად ტკბილია, რომ თავისკენ იზიდავს ყოველ გაქვავებულ სულს. როგორც წინასწარმეტყველი იტყვის: „ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყუანი შენნი, უფროს თაფლისა პირსა ჩემსა!“ (ფს. 118,103). „ესენი მიმიძლუეს და მიმიყვანეს მე მთასა წმიდასა შენსა და საყოფელთა შენთა“ (ფს. 42,3). წინასწარმეტყველნი და პატრიარქნი ცდილობდნენ გაძლიერებული ლოცვებით მოეზიდათ ძე ღმრთისა ზეციური ტაძრიდან ქვეყნიურ ტაძარში, რათა მას გამოეცხენით ეშმაკის მძლავრებისაგან; ისინი ხმობდნენ: „რომელი ჰზი ზედა ქერობინთა, განცხადენ“ (ფს. 79,1); „ვიდრემდის უფალო,



◀ **მეთოდური გვერდიდან**

დამივიწყებ (ჩვენ) სრულიად“ (ფს. 79,3). მაგრამ კაცთა მოდგმის ცოდვების გამო ღმერთი არ უსმენდა მათ. ბოლოს „აღდგა მარიამ და წარვიდა“. მიდის დღეს ქალწული მარიამი ტაძარში და იქ აღმოთქვამს: „ეჰა მცვეალი ღმრთისა, მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა“ (ლუკ. 1,38). მოიზიდავს ზეციდან მინაზე ძეს ღვთისას. „და სიტყუა იგი ჟორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩვენს შორის“ (იოან. 1,14). წინასწარმეტყველთა, წინასწარ განჭვრიტეს რა არნახული სასწაული, გვირგვინოსანპყვეს მისი წმიდა თავი ვარსკვლავებისგან შემდგარი გვირგვინით. „და სასწაული გამოჩნდა ცათა შინა: დედაკაცი, რომელსა ემოსა მზე, და მთოვარე იყო ქუეშე ფერცთა მისთა, და თავსა ზედა მისსა გვირგვინი ვარსკვლავთა ათორმეტთა“ (გამოცხ. 12,1). ამიტომ ჩვენ სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ ღვთის ძე და სიტყვა ზეციდან გარდამოვიდა და ადამიანური ბუნება შეიმოსა ადამიანის გადასარჩენად, თუ ცოდვების სიბნელე განიდევნა და მარადიული ნეტარების მოსახვეჭად მაღლი მოგვეცა, ყოველივე ეს ღვთის მხევალ, ქალწულ მარიამის შუამავლობითაა.

რაა გიძღვრათ შენ, ყოვლადწმიდაო ასულ, შენთა ნიჭთა სამადლობელად? საკუთარი თავი და საკუთარი სული? მაგრამ ისინი დიდი ხანია შენი უსასრულო გულმონყალების ძლევამოსილ მონაპოვრად

იქცნენ. ქება-დიდება? დიახ, ჩვენ ვუწყით, რომ არაფერი აშფოთებს შენს ყოვლადწმიდა სულის ისე, როგორც ქების სიტყვების წარმოთქმა შენს საპატივცემულოდ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სრულიად უმადურნი, რომ არ აღმოვჩნდეთ, მხოლოდ სიტყვებით შემოვიფარგლებით. გიხაროდენ, უწმიდესო სამკვიდრებლო ღვთისაო; გიხაროდენ, განსულიერებულო ხატო უფლისაო; გიხაროდენ, ბრწყინვალეო წინამორბედო მზისა დიდებისაო; გიხაროდენ, ღვთიური ნათლის წინამორბედო მაგრილობელო ქროლვაო; გიხაროდენ, მიმადლებულო მაცნეო უნეტარესი დღისაო; მთოვარე ხარ აზრისმიერ ცაზე სინმიდისა შენისა საკვირველად მაცისკროვნებელი, ყოველთა დედუფალი. ბაღი ხარ დახშული, სადაც დასაბამიერი გველი ვერ გაკადნიერდა, რომ თავისი მომაკვდინებელი გესლი დაეთხია. წინაგანგებულების მთა ხარ მაღალი, წარღვნამ ცოდვისამ რომ ვერ დაჰფარა. შრომანო ქალწულებისაო, საერთო უბედურების ყამს ეკალთა შორის აღმოცენებულო და ოქროვანქმნილი სილამაზის არ დამკარგავო. ჭეშმარიტო დედუფლო ცისა, მაცნებად გყავს მთავარანგელოზები, მწერლებად მახარებლები, თანამგზავრებად – მოციქულები, მსახურებად – უხორცო ძაღნი, გვირგვინის მაგიერ – ვარსკვლავები გაქვს, პორფირის მაგიერ – მზე, კვარცხლბეკად მთოვარე. უკანასკნელ – სამი წლის ყრმა ხარ დღეს წმიდა წმიდათაში შემავალი, და განუშზაღებ შენს თავს ადგილს ყოველთა მეუ-

ფის სამკვიდრებელში. შევეუვრდებით შენს უწმიდეს ნატერფალებს და გვევდრებით უღირსნი მონანი შენნი, მეოხ გვეყავნ და მფარველ. შენთან, გულმონყალების წყნარ ნავთსაყუდელთან, მოვდივართ სოფლიურ შვებათა მწარე ზღვიდან, რათა ვპოვოთ სიმშვიდე სულისა. ჭეშმარიტად დავანთეთ ჩვენ, შენი ძის სამართლიანი რისხვის ცეცხლი. ჩააქრე ცეცხლი შენი გულმონყალების ზღვაში! რა თქმა უნდა, ვალიარებთ, რომ „ყოველთავე მიაქციეს ერთბამად და უცმარ იქმნეს, არავინ არს, რომელმანცა ქმნა სიტკბოება, არავინ არს მიერთადმდე“ (ფს. 13,3), ვინც ზედმინევნით აღასრულებს ღვთის მცნებებს. შენ, ოქროს ლამპარო, ცეცხლოვანი სვეტის მსგავსად შეგვიყვანე აღთქმის ქვეყანაში, მაღლის საუფლოში. ურწყული, უნაყოფო მიწა ვართ ცოდვების ეკალ-ბარდისა და ცდუნებათა სარეველის აღმომაცენებელი, შენ აზრისმიერო ცაო, რომელზეც აღვალს მზე სიმართლისა, აწვიმე შენი მაღლმოსილი ნიჭების კეთილისმყოფელობა, რომ გამოვილოთ ნაყოფი ღირსი ღმრთისა ჩვენისა. და რადგან აურაცხელი ცოდვების გამო არ გაგვანია კადნიერება ქრისტე მეუფის წინაშე, შენ, ვისაც ხელთ გიპყრია ყრმა, შეევედრე, რომ გვიხსნას გვენისაგან ცეცხლისა და ღირსგვყავ მისი ზეციური სასუფეველისა. ამინ.

**თარგმნა და დასაბუჟდალ
მოამზადა დეკანოზმა იოსან ბარკალაიამ**

ქურნალისტის არქივიდან

პატრიარქის დილის საუბრები

2005-2009 წლებში თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი ბრძანდებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

თითქმის ყოველ დილით მობრძანდებოდა უწმიდესი სასწავლებელში, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ხვდებოდნენ და უშუალო და გულწრფელი საუბრები იმართებოდა.

უწმიდესი სტუდენტებს დავალებას აძლევდა – ეწერათ თავისუფალი თემები ცალკეულ საკითხებზე – მათ შორის მოთხრობები, ლექსები, ზღაპრები, მერე ერთად კითხულობდნენ და განიხილავდნენ.

გამორჩეული დრო იყო...

დღეს ეს შეხვედრები უკვე ისტორიაა, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ცხოვრების განუმეორებელი ისტორია...

სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ, გავიხსენოთ წარსული... მართალია, უახლესი, მაგრამ ყველასთვის სასიამოვნო და შთამბეჭდავი...

და გაზეთის ამ ნომერში 2006 წლის 7 ივნისის „დილის საუბარს“ გთავაზობთ.

„გეგმა ჩვენს ცხოვრებაში“

მინდა დღეს ვისაუბროთ და დავალებად მოგცეთ თემა: „გეგმა ჩვენს ცხოვრებაში“.

რა არის გეგმა?

ჩვენ თავისუფალი ხალხი ვართ და გეგმების გარეშე ვცხოვრობთ, საერთოდ არსებობს გეგმა ერთი დღის, ერთი კვირის, ერთი თვის, ერთი წლის, მთელი ცხოვრების...

ჩვენ გვახასიათებს ასეთი რამ: ხშირად ვსახავთ გეგმას, ვგეგმავთ ჩვენს მოქმედებას და ბოლომდე არ მიგვყავს, ვერ ვახორციელებთ. რით აიხსნება ეს?

მაგონდება ჩემი პატრიარქობის პირველი წელი... ალბათ გსმენიათ, რომ რალაც საოცრება მოხდა კურთხევის დროს, საზოგადოება, მთელი ხალხი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, შემობრუნდა ეკლესიისაკენ და ხელისუფლება შემფოთდა, ისინი მიხვდნენ, რომ

ხალხი გაჰყვებოდა პატრიარქს და ეკლესიაში მივიდოდა.

და აი, მოვიდა ჩემთან ერთი ადამიანი, ძალიან ახლობელი, რომელსაც ხელისუფლებასთან ჰქონდა კავშირი და ასეთი რჩევა მომცა: თქვენ ყოველ კვირას და ყოველ დღესასწაულზე წირვა არ უნდა აღავლინოთ, თქვენი გამოსვლა უნდა იყოს მოვლენაო, ვითომ ჩემზე ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ, სინამდვილეში უნდოდათ შეზღუდულიყო ეკლესიისა და ერის ურთიერთობა. ცოტა ხნის მერე მოვიდა მეორე ადამიანი და მითხრა: – მოდი დავსხდეთ და ოცი წლის გეგმა შევადგინოთ, რა უნდა გაკეთდეს ეკლესიაში 20 წლის მანძილზეო. იმათ ეგონათ, არ იცოცხლებს 20 წელზე მეტს ეს პატრიარქიო...

მე ვუთხარი, ჯერ ამისთვის მზად არა ვარ, ჯერ არ დამინყვია-მეთქი გეგმები. და მოხდა საოცრება, რამდენიმე წლის შემდეგ ის ადამიანი თვითონ გარდაიცვალა, მიუხედავად იმი-სა, რომ ახალგაზრდა იყო.

ასე რომ, ჩვენ ვგეგმავთ და უფალი განაგებს, შესრულდება თუ არა ის გეგმა.

და აი, მინდა მოვისმინო, როგორ უყურებთ თქვენ გეგმას? საჭიროა თუ არა გეგმა? როგორია თქვენი ცხოვრების გეგმები? რა უნდა გააკეთოთ ან თქვენი თავისთვის, ან თქვენი ოჯახისათვის, ან სამშობლოსათვის?

სრულიად გეთანხმებით, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს გეგმის მიზანი. რა მიზანი გვაქვს? შენი თავის განდიდებაა მიზანი? თუ ოჯახის? საზოგადოების? ქვეყნის კეთილდღეობა გინდა?

ყველაფერში საჭიროა გეგმა – თუნდაც ლოცვაში, საქმიანობაში. აი, შვიდგზის ლოცვა, რომელიც ჩვენ მიერ შეიქმნა, უძველესი პრაქტიკა იყო. ჩვენ ვკითხულობთ „ფსალმუნებს“ და მაინცდამაინც ყურადღებას არ ვაქცევდით ამ მუხლს, სადაც მითითებულია დღის განმავლობაში შვიდჯერ ლოცვის არსებობა.

მე, რომ მეკითხებიან, ყველაზე დიდი რა გაკეთდაო, ზოგი ამბობს – ტაძრები აშენდა, ზოგი ამბობს – აკადემიები გაიხსნა... მე

ვფიქრობ, ყველაზე დიდი, ეს არის – შვიდგზის ლოცვა.

ერთიანდება ერი გარკვეულ საათს და აღავლენს უფლისადმი ლოცვას. ეს წესი წარმოიშვა ეგვიპტეში. თქვენ იცით, ეგვიპტე ბერობის და მონაზვნობის აკვანია, საწყისია, ამიტომაც იქ წარმოიშვა ეს ლოცვა, ეგვიპტის უდაბნოებში. ეგვიპტე, საერთოდ, საიდუმლოებით მოცულია.

რომ ვუყურებდი მუსლიმებს, როგორ ჩერდებოდნენ ქუჩაში, სულიერი შური დამეუფლა: – როგორ შეიძლება ამათ ჰქონდეთ ლოცვის გეგმა, ერთად აღვლენილი ლოცვა და ქრისტიანებს არ გვექონდეს-მეთქი, მე არ ვიცოდი, რომ არსებობდა და დავინყე ძიება. არის ასეთი წიგნი: ბიბლიის სიმფონია საძიებელი, და ამ სიმფონიით დავინყე ძიება თუ რამდენჯერ ლოცულობდნენ და აი, ვნახე ფსალმუნში, რომ დღე-ღამეში შვიდი ლოცვა იყო დაწესებული. ებრაელებმაც დაივიწყეს ეს წესი. მე რომ ვხვდები, ებრაელებს, ვეკითხები ამის შესახებ და არ იციან.

ასე რომ, გეძლევათ ეს თემა, უფრო ღრმად ჩასწვდით გეგმის მიზანს.

რა თქმა უნდა, ადამიანი, არ უნდა იყო გეგმის მონა. გეგმა არ ნიშნავს, რომ რადგან დაგეგმე – უნდა შეასრულო, რამეთუ არსებობს გარემოებათა, მოვლენათა კოლიზია. კოლიზიაა, როცა ორი მოვლენა ერთმანეთს ხვდება, შეეჯახება და უნდა აირჩიო ერთი მათგანი. აი, ამ კოლიზიის დროს შენზეა დამოკიდებული, რომელს აირჩევ. შეიძლება ორივე მოვლენა უარყოფითი იყოს, ან პირიქით – ორივე დადებითი და უნდა აირჩიო ის, რომელშიც ნაკლები ბოროტებაა. იძულებული ხარ, რომ რომელიმე აირჩიო.

ღმერთმა დაგლოცოთ!

ღმერთმა ინებოს, დავსახოთ კეთილი გეგმები, და რომ ეს კეთილი გეგმები აღვასრულოთ ჩვენს ცხოვრებაში.

ჩვენთან არს ღმერთი!

მოამზადა სალომე გოგინავაშვილმა

„თქვენ უნდა გყავდით იმდენი შვილი, რამდენსაც უზალი მოგცემთ. სწორად ამაშია გადნეობა და ასეთია განგება ღვთისა, მაღლოცა ღმერთს, ჩვენ გვყავს მრავალშვილიანი ოჯახები, თუმცა ჯერ არც ისე მრავლად.“

„კვლავ მინდა მიუზარუნდე გადნეობის თემას, და აღვნიშნო, რომ ყველას გვსურს, ვიყოთ გადნეობის. მაგრამ ხშირად არ ვიცით რა მოვიმოქმედოთ ამისთვის. გადნეობა შვილების ყოლასა და გზავლების პატივისცემას. ერთ-ერთი მცნება ღვთისა გვმოქმედებს: პატივი ეცი ღვთისა და მამასა შინა, რათა კეთილი გყოს შენ და ღვთისაჲ იყო ქვეყანასა ზედა.“

ილია II

მამა-პაპისეული სახლისა და სამოხლოს იმედად...

გორა ცუხიშვილს დიდი ოჯახი საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხაში ჰქონდა: სამი ძმიდან ორმა, 90-იან წლებში საქართველოს ძნელბედობისას, უკრაინას მიაშურა და დღესაც ქართული პასპორტებით იქ ცხოვრობენ. ამჟამად უფროსი - უშანგი ცოლ-შვილით კიევეშია, ხოლო უმცროსი, გიორგი, ყირიმში დედ-მამასთან ერთად ცხოვრობს ქალაქ ფეოდოსიაში, სადაც უკვე რუსეთის კანონმდებლობა და სავიზო რეჟიმის გამო საქართველოში ვეღარ ჩამოდის.

ჩვენს კითხვაზე, გორასაც ხომ არ ჰქონდა სამშობლოდან წასვლის სურვილი, მან დაბეჯითებით თქვა: - მე საქართველოდან ვერ წავიდოდი და ჩემი მიწა-წყლის მიტოვება, თუნდაც აქ უდიდეს გაჭირვებაში ვიცხოვრო, არ შემძლია. ამჟამად გორა 34 წლისაა და მისი ბიოგრაფიის უბრალო გაცნობაც წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს, თუ როგორ მიზანმიმართულად წარმართა მან თავისი მოღვაწეობა.

დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ფაკულტეტი წარმატებით დაამთავრა მაგისტრის ხარისხით.

უკვე სტუდენტობის წლებში დაიწყო სასულიერო ცხოვრება. 20 წლის იყო, როცა დაქორწინდა და ჯვარი დაიწერა ელისაბედ ტაბატაძეზე. დღეს მისი მეუღლე ფსიქოლოგია და მუშაობს უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში. სწორედ მეუღლის დამსახურებაა, რომ

გორა ეკლესიური გახდა. მისი სამი ვაჟი - თომა, მათე და ანდრია თბილისის 191-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან, მეოთხე შვილი - თეკლა შარშან 8 თებერვალს დაიბადა.

ოჯახს მოძღვრად ჰყავს მამა თეოდორე კიკნაძე. სწორედ მისი რჩევით მოვიდა გორა თბილისის სასულიერო აკადემიაში.

- ამ სასწავლებლის სტუდენტობის სურვილი დიდი ხანია მქონდა, მაგრამ ოჯახის გამო ვერ მოვახერხე აქამდე საღვთისმეტყველო განათლების მიღება, დღეს კი ვთვლი, რომ ჩემი ცხოვრების მთავარი აზრის აღსრულებას წინ ვეღარაფერი დაუდგება.

ოთხი შვილის მამა უკვე მესამეკურსელია და, ღვთის ნებით, მომავალში დოქტურანტურაში სწავლის გაგრძელებაზეც ფიქრობს.

მაგრამ ეს მისი საქმიანობის ერთი მხარეა. გორა აღიარებული სპორტული მოღვაწეა. 1993 წლიდან კარატეში ვარჯიშობს და დღეს საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის ინსტრუქტორი, შავი ქამრის მესამე დანის მფლობელია. ამასთანავე, კარატეს ფედერაციის „აიკიდოს“ ვიცე - პრეზიდენტიცაა.

კარატეს ოსტატს უამრავი მოწაფე ჰყავს, ის საგანგებოდ მუშაობს ბავშვებთან, იმ განზრახვით, რომ ქვეყანას ჯანმრთელი თაობა გაუზარდოს.



ბუნებრივია, მისი შვილებიც მისი შეგირდები არიან, მაგრამ მათ სხვა გატაცებაც აქვთ: თომა ანსამბლ „ბარაკონის“ აღიარებული მოცეკვავეა, პატარები ქართულ ხალხურ საკრავებს უშინაურდებიან... ღმერთმა უმრავლოს ასეთი ჯანმრთელი ოჯახები საქართველოს.

P.s. (ავტორისგან) წერილის მომზადებისას მუდმივი გულისტკივილი მანუხებდა - ხომ არ დარჩებოდა გორას ამარად იმერეთის მშვენიერ სოფელ ჩიხაში მიტოვებული სახლი და კერა, რომ არა უკანასკნელი წლების ძნელბედობა, მაგრამ იქვე იმდეს მიღვივებდა კითხვაზე ჩემი რესპოდენტის მტკიცე პასუხი: მე ჩემს სამშობლოს ვერ დავტოვებდი... და იზრდებიან დღეს საქართველოში თომა, მათე, ანდრია და თეკლა ბებია-ბაბუისაგან იძულებით მიტოვებული მამა-პაპისეული სახლის და სამშობლოს იმედად.

ღიალოგი დეკანოზ ლუკა ხუნდაძესთან



დეკანოზი ლუკა ხუნდაძე საჯარო მოხსენებას კითხულობს მაგისტრატურის ტრადიციად ქცეულ ხუთშაბათობაზე. მოხსენების თემაა „მეშვიდე მსოფლიოს საეკლესიო კრების მოწვევის მიზეზები.“

- მამა ლუკა, თქვენ ამჟამად ბრძანდებით სასულიერო აკადემიის მესამეკურსელი. დიდი ხნის წინათ დაამთავრეთ სასულიერო სემინარია და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეწეოდით საერო და სასულიერო მოღვაწეობას. გვიამბეთ, რა გზა გაიარეთ, სანამ დაბრუნდებოდით სასულიერო აკადემიაში.

- დაგბადებულვარ 1979 წლის 17 მარტს, თბილისში. 1996 წელს დავამთავრე თბილისის მეექვსე საავტორო სკოლა. ხოლო 2000 წელს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, მეტეოროლოგიის სპეციალობით.

1996 წლიდან ვარ მიხეილ ტყერელის ეკლესიის მრევლის წევრი. იქ მიმიყვანა ჩემმა უახლოესმა ნათესავმა გურამ ფალავანდიშვილმა. (გურამ ფალავანდიშვილი - მწერალ გურამ რჩეულიშვილის დის, მარინე რჩეულიშვილის და ცნობილი მსახიობის გეიდარ ფალავანდიშვილის შვილი. რედ.)

ჩემი მოძღვარი იყო მამა კონსტანტინე კოლუაშვილი, მღვდელმონაზონი დავითი (გარდაიცვალა 9 წლის წინათ.)

როცა 2003 წელს სასულიერო სემინარიას ვამთავრებდი, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში სადიპლომო ნაშრომისათვის - „მსოფლიო საეკლესიო კრებათა აქტები, - III“ ხელნაწერების შესწავლა დავიწყე, იმაში, რომ ამის შემდეგ 2007 წლამდე, დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევას შევეუდექი, ჩემი სადიპლომო ნაშრომის ხელმძღვანელის, პროფესორ ედიშერ ჭელიძის დიდი ღვაწლია და ამისთვის მას დიდ მაღლობას მოვახსენებ.

ამ კვლევის შედეგად გამოვეცი წიგნები - „ბასილი დიდის სწავლანი“ (რედაქტორი - ედიშერ ჭელიძე), „წმიდა კირილე ალექსანდრიელის ქადაგება ფერისცვალების დღესასწაულზე“ (რედაქტორი ექვთიმე კოჭლამაზიშვილი), „ნათლისღების და მირქმის სადღესასწაულო სახარებათა განმარტება“ (მარიამ (დოდო) ლლონტის რედაქტორობით). ყოველივე ამას გურამ ფალავანდიშვილის ფინანსური დახმარებით ვახორციელებდი. სავალდებულო სამხედრო სამსახურიც მოვიხადე და, ცოტა გვიან, 2009-10 წლებში, ჯარისა და სხვადასხვა სასჯელ-აღსრულების დანესე-

ბულებებში მოძღვრად და კაპელანადაც მიმუშავია.

2007 წელს მაღალყოვლადუწამღვდელოესმა მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ყინწვისის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში დიაკონად მაკურთხა. მანვე, იმავე წლის ბოლოს, სტეფანე პირველმონაზმისა და პირველი დიაკვნის სახელობის ურბნისის საკათედრო ტაძარში ხელი დამასხა მღვდლად. პარალელურად, სანამ სასულიერო აკადემიის სტუდენტი გავხდებოდი, 2014-17 წლებში ვიყავი საღვთო სჯულის პედაგოგი საქართველოს საპატრიარქოს ქარელის წმინდა გიორგი მთაწმიდელის სახელობის გიმნაზიაში.

2008 წლის ნოემბრიდან დღემდე რუისის ხარების ტაძრის მოძღვარი ვარ.

- გვიმბეთ თქვენს ოჯახზე.

- 2002 წელს დავინერე ჯვარი. მყავს ოთხი შვილი: თექვსმეტი წლის რატი, თოთხმეტი წლის ნიკოლოზი, თერთმეტი წლის ალექსანდრე, მეოთხე გოგონაა, შვიდი წლის ქეთევანი და შარშან საჯარო სკოლაში შევიდა.

საუბრის დასასრულს მამა ლუკამ პატივისცემით მოიხსენია მისი პედაგოგები: ეპისკოპოსი დოსითე (ბოგვერაძე), დეკანოზი ბიძინა გუნია (2002 წლამდე ერისკაცი), მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი), დეკანოზი ზურაბ ცხოვრებაძე, დეკანოზი დავით შარაშენიძე, დეკანოზი გიორგი გუგუშვილი, დეკანოზი ანდრია თოდაძე, დეკანოზი რევაზ სიხარულიძე, პროფესორი იოსებ ფარულავა, ზურაბ ეკალაძე, პედაგოგები ხათუნა ნიშნიანიძე და ჯულიეტა შოშიაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მარიამ ლლონტი და, რა თქმა უნდა, პროფესორი ედიშერ ჭელიძე.

კურსდამთავრებულთა კვალდაკვალ

მზადაა, გაჰყვას იმ გზას, წინაპრებმა რომ გაკვალეს...

ტყიბულის რაიონის სოფელ გურნაში ორი ადრეული ტაძარია - ორივე წმინდა გიორგის სახელობისა, გურნა ბერი თეოდორე ერისთავის სოფელია, ის მოძღვარი იყო წმინდა ალექსი შუშანიასი, რომელიც 1905 წელს, ათონის მთაზე აღესრულა.

შედარებით ახალი ეკლესია 1893 წელს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსს უკურთხებია, - გვიამბობს მამა

რამაზ კაკუშაძე.

სწორედ აქ, ამ უმშვენიერესი სოფლის სანახებში გაიარა მისმა ბავშვობამ.

უმალეს განათლებას კი თბილისში დაეუფლა. 1989 წელს სოხუმის უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაერიცხა, ერთი წლის შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტში საინჟინრო ეკონომიკის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა და წარჩინებით დაამთავრა 1994 წელს. ამავე პერიოდში უნივერსიტეტისავე მეორადი ფაკულტეტი სამართლის განხრით აირჩია და დიპლომიც მიიღო.

სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან - და-

გაგრძელება გეოსტრუქტურა გვირგვინი ►



◀ **მართლმადიდებელი ეკლესია**



ბრუნებული, ადვოკატურაში, შემდეგ ძალოვან სტრუქტურებში მუშაობდა.

ხუთ წელზე მეტი დაჰყო ავჭალის ბავშვთა კოლონიის დირექტორად და როცა ამ კოლონიის ტერიტორიაზე წმინდა ბარბარეს სახელზე საგურამოს ილია მართლის სახელობის ტაძრის წინამძღვარ მამა ტარიელ სიკინჭალაშვილთან ერთად ეკლესია ააგო, მამა ტარიელი სულიერ მოძღვრად გამოარჩია და მის ცხოვრებაში სრული გარდატეხა მოხდა.

მამა რამაზი სასულიერო მოღვაწეობის გზას დაადგა. მოძღვრის რჩევითა და დარიგებით, მოგვიანებით თბილისის სასულიერო აკადემიას მოაშურა და ღვთისმეტყველების ფაკულტეტი შარშან დამთავრა. ახლა იგი სიყვარულით ახსენებს მამა გიორგი ზვიადაძეს, მამა შალვა კეკელიას, მამა ნიკოლოზ სუარიშვილს, მამა მაქსიმე ჭანტურიას, მამა მიქაელ გალდავას...

რაც შეეხება მამა რამაზის ოჯახს, იგი 15 წლის წინათ დაოჯახდა, მისი მეუღლეა პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ლია ხონელიძე, ისინი ადრე, ერთდროულად სწავლობდნენ უნივერსიტეტში.

მისი შვილებიც - ნინო და ილია, - ეკლესიურები არიან. ილია საგურამოს და თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიების სტიქაროსანია.

მამა რამაზი დღეს დიაკვნია. როცა მომავლის გეგმებზე ისაუბრა - მამა რამაზმა გააცხადა სურვილი და მიზანი - თუ ღმერთი ინებებს და მას მღვდლად დაესხმება ხელი, დაბრუნდეს მშობლიურ სოფელ გურნაში, სასულიერო განათლება, რაც თბილისში მიიღო, სოფლის მკვიდრთა სულიერი ცხოვრების ამაღლებას მოახმაროს და გაჰყვეს იმ გზას, რაც მისმა დიდმა წინაპრებმა გაკვალეს.

ეს ყოველივე, უწმინდესის კეთილი ნების შედეგია...

შოთა დვალი თბილისის 70-ე საჯარო სკოლას ამთავრებდა, როცა მის საცხოვრებელ უბანში, ფონიჭალაში, ყოველთა წმინდანთა სახელობის ტაძრის მშენებლობა დაიწყო, შოთა თანატოლებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ამ ღვთისსათნო საქმეში, ასე დაიწყო მისი ეკლესიური ცხოვრება. შემდეგ მის სულიერ მოძღვარს, დეკანოზ იოანეს გაეწიდა, რომ სურვილი ჰქონდა სასულიერო სასწავლებლის სტუდენტი გამხდარიყო. მისი ლოცვა-კურთხევით 2010 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში მისაღებ გამოცდებზე სცადა ბედი. თუმცა ქულები დააკლდა და შემდეგი წლისათვის აპირებდა მომზადებას, რომ დეკანოზმა, მამა გიორგი გუგუშვილმა სწავლის დაწყების წინ შეატყობინა უწმინდესის გადაწყვეტილება: „ყველა, ვინც გამოცდებს აბარებდა და დადებითი შეფასებები დაიმსახურა, ჩაერიცხა სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში: „ ისინი ჩემი სულიერი შვილებ არიან და მათ ქუჩაში ვერ დავტოვებო.“

- ეს დღე არასოდეს დამავიწყდება იგი უბედნიერესი იყო ჩემს ცხოვრებაში. უწმინდესისა და უნეტარესის კურთხევით სამების საკათედრო

ტაძრის ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში გამოგვიყვებს სალექციო ადგილი. მე ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ჩავირიცხე და ორი წელიწადი ჩემს ამხანაგებთან ერთად სამების საკათედრო ტაძარში გავატარე უწმინდესის ლოცვა-კურთხევის ქვეშ, - იხსენებს შოთა.

სწორედ აქ გაიცნო მისი მომავალი მეუღლე ელზა ინასარიძე. შეეძინათ სამი შვილი - სალომე, ელისაბედი და ლაზარე. გოგონები ამჟამად საბავშვო ბაღში დადიან.

ეს ყოველივე უწმინდესის კეთილი ნების შედეგია. მის მიმართ მადლიერებას ყოველ დღით ლოცვისას გამოვთქვამ.

სწავლის ოთხი წლის განმავლობაში პარალელურად შრომით საქმიანობას ვეწეოდი. დიდი სურვილი მქონდა სასულიერო აკადემიის ღვთისმეტყველების ფაკულტეტზე მესწავლა და ჩემი თეოლოგიური ცოდნა გამეღრმავებინა და დღეს უკვე ვფიქრობ, ღვთის შენევნით, სწავლა დოქტორანტურაში გავაგრძელო, - ასეთია შოთას სამომავლო გეგმები.



როცა ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტიზე სწავლის პერიოდის შესახებ ვკითხეთ, სიყვარულით მოიხსენია ყველა პედაგოგი, რომლებთანაც გაატარა სტუდენტობის წლები.

**წერილები მოამზადა
გივი შაყილაძემ**

ჩვენი ენა ქართული

„**კარგი იქნებოდა, როცა ვკითხულობთ ძველ ქართულ ლიტერატურას, ამოგვეწერა სიტყვები, რომლებიც დღეს დაგვწყნარებდა, გამჭრალია და დავუბრუნოთ მშობლიურ გარემოს, მეტყველებას. ბევრი ლამაზი, ბევრის დამნტევი სიტყვაა შემორჩენილი ცალკეულ კუთხეში... შეიძლება ისინი დავამკვიდროთ დღევანდელ სასაუბრო ენაში.**“

უწმინდესი და უნეტარესი ილია II

საბა-სულხანის „სიტყვის კონიდან“

ალაგი - დასადგომი ანუ დასადებელი
ანგელოზი - მომთხრობელი, გინა ქადაგი, ესე არს არსება გონიერი, უნივთო, უსხეულო, დასაბამიერი და დაუსრულებადი. სული ნათელი და მსწრაფლ მიმდრეკი.

ბლარჯობა - უცომობის კვირა

ბოგირი - ხიდი

ბოგა - მცირე ხიდი

ბოიკი - ორი წლის ხარი

ბორა - ფრინველი, ძერას ჰგავს

ბოსტანი - სხვათა სიტყვა, ქართულად მტილი

ბრანი - გრაკის ხე

აკინჭილება - ცუდი საქმის დაჟინება

ბოჩიკი - წლის ირემი

ბრგუნილი და ბრგუ - ენა-მაყენებელი

ბრანგვი - დათვი

განკანონება - რიგის დადება

განძი - უნჯი, განძი სომხურია, უნჯსა უწოდებენ

გერში - (24,19. ლევიტ.) ნაკოდთა მცირე სისხლი.

მცირე ჭრილობა



გეჯა - ხის დიდი გობი

გზირი - სხვათა ენა, ქართულად ჰქვიან შულტა გიჟი სიგიჟე(ცა) განიყოფების ათერთმეტად: შმაგად, ხელად, სულელად, ცოფად, ნაღველიანად, რეგვანად, ტეტ(ე)რად, შლეგად, შტერად, ფეთიანად და შეთიანად.

შმაგი არს სიგიჟით თავსაცა თვისთა ავნებდეს და სხვათაცა მავნებელ ექმნებოდეს;

ხელი არს, რომელი უცნობოდ გარბოდეს და არცა თვით იგვემებოდეს და არცა სხვათა ავნებდეს;

სულელი არს, რომელი არცა სრულიად ცნობამიღებულ იყოს და არცა რა სასარგებლო რამე ქმნას.

ცოფი არს გონება და ცნობამოძარცული;

ნაღველიანი არს ოდესმე ცნობას იყოს და ოდესმე უცნობო;

რეგვენი არს, რომელსა სიბრძნე აკლდეს და მცირედ ხელურსა რასმე იქმოდეს;

ტეტერი არს, რომელსა სიბრძნე არა აკლდეს, არამედ, ხელურსა რასმე იქმოდეს;

შლეგი არს არა ხელი, არცა ცნობა-მიღებული, არამედ დაუცადებელად თავ-განწირვით განუსვენებელი;

შტერი არს ფრიადისა აორთქლებათა შინაგან ნივთთა მიერ საგრძნობელთა ორღანომიღებული და საქმისა ვერა კეთილად მქმნელი.

ფეთიანი არს ღამით საოცართა დაფეთებულთა მიერ მცირე ხანს ცნობამიხილი.

შეთიანი არს სნეული, რომელი ხელურად იქცეოდეს და ჩქარა დანვეს და წამოდგეს და უგვანად უბნობდეს.

გიხაროდენ - (1,28 ლუკა) - სიტყვა სახარელი

გლისპი - (25,23 იერემ.) - ანჩხლი

გულარძნილი - მრუდი, ოღრო-ჩოღრო

ღვლარჭნილი - სიმრუდე მიგრეხილ-მოგრეხილი

გულის-დადება - გულის დაწყნარება

გულის-ზრახვა - (10,19 საქმე) - გონებით ლაპარაკი

გულის-სიტყუა - (22,15 ლუკა) - გონებით მსიტყველობა

გულის-ტანჯვა - გონებით შეჭირვება

გულის-ყური მოსწავლეთაგან სწრაფად სმენა,

სწრაფად სწავლა, მიხედვითა და ქმნა

გულის-წყრომა ნადიერებაი არს ნაცვლის მიგებად

გულის-ხმა (ოსე 14,10 ოსე) ესე არს გონებითი

ხმა და გულთა შელება. გულსა არა აქვს ხმაი, არამედ ახმა და შელება

გულ-ჰყრობილი - გონება გაბნეული

გულს-მოდგინე - მომჭირნე

იადგარი - სხვათა ენა, ქართულად სახსენებელი ჰქვიან

ბაბაჭუა - დედაზარდლი - ობობა

ბაბრი - სხვათა ენა, ქართულად ჯიქი ჰქვიან.

ბაგინი - (1 კორინთ. 9,13) - სომხურია, ქართულად ბომონი ჰქვიან.



თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტთა და პედაგოგთა გამოფენა სამეზოს საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში



22 დეკემბერს საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში თბილისის სასულიერო აკადემიამ და სემინარიამ მოაწყო გამოფენა, რომელიც მიეძღვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ალსაყდრებიდან 42-ე წლისთავს.

სტუდენტებმა და პედაგოგებმა გამოფენაზე წარმოადგინეს ხატები, ტაძრის მაკეტები, თექით დამზადებული და ფერწერული ნამუშევრები...

გამოფენაში მონაწილეობდნენ საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების), ხატწერის, დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის მიმართულებები, ასევე ხატწერისა და ქსოვილების მხატვრული დამუშავების სახელოსნოები, რომლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ შეისწავლონ ხატწერა, თექის დამუშავება, ქარგვა და სხვ. ხელოვნების ორიგინალური ნამუშევრები გამოფენაზე სასწავლებლის სხვა სტუდენტებმაც წარმოადგინეს.



დაბიუტი



ვაჩე მაჩარაძე დაიბადა 1998 წელს. 2016 წელს დაამთავრა თბილისის 154-ე საჯარო სკოლა, რის შემდეგაც ერთწლიან სამხედრო სავალდებულო სამსახურში იმსახურა. 2018 წელს მოვიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. დაინტერესებულია წმინდა მამათა ისიხასტური და ასკეტიკური სწავლებებით. ის ასევე ფოტომოყვარულია, გატაცებულია აკრო ფოტოგრაფიით. (აკრო ფოტოგრაფია არის მცირე ზომის ობიექტების გადაღება უფრო დიდ, ვიდრე - სინამდვილეში). სემინარიის დასრულების შემდგომ, სწავლის გაგრძელება სურს ნიუ - იორკში, წმინდა ვლადიმერის სასულიერო სემინარიაში. ვაჩე ინგლისურთან თარგმნის მხატვრულ და სასულიერო ლიტერატურას.

აკითხვალას ვთავაზობთ ვაჩე მაჩარაძის მიერ ნათარგმნ წმინდა მამების შრომებს.

"ქრისტე არის სიხარული, სინათლე, ბედნიერება. ქრისტე ჩვენი იმედია. ჩვენი ურთიერთობა ქრისტესთან არის სიყვარული, ერთუზიანობა და ღვთიურისკენ ლტოლვა. ქრისტე ყველაფერია, ჩვენი სიყვარულია. ის ჩვენი სურვილის ობიექტია. ეს მზერაზე ლტოლვა ქრისტესკენ არის სიყვარული, რომელსაც ვერავინ წაგვართმევს. აი, სწორედ აქედან მოედინება სიხარული."

"ღმერთს ჩვენ ძალიან ვუყვარვართ; მას გონებაში ვყავართ თითოეულ წამს და გვიცავს. ეს უნდა ვიცოდეთ და არაფრის გვეშინოდეს."

წმინდა პორფირი კავსოკალიველი

"თუ ადამიანს ან რამდენიმე ადამიანს ასკეტური სული აქვს, ეს ძალიან დაეხმარება სხვებს, რადგან, თუ ვინმე სულიერად გაიმარჯვებს, მაშინ სარგებელს აქედან არამარტო თვითონ ნახავს, არამედ ისიც, ვინც ამას ხედავს."

"- მოძღვარო, რაზე უნდა ფიქრობდეს ადამიანი თავის დაბადების დღეზე?"

ის უნდა ფიქრობდეს გარდაცვალების დღეზე და უნდა ემზადებოდეს ამ დიდი მოგზაურობისთვის."

წმინდა პაისი ათონელი

"ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ უფალი ხედავს ჩვენს ბრძოლას მტერთან (ეშმაკთან), ამიტომ არასდროს არ უნდა გვეშინოდეს. გინდ მთელი ჯოჯოხეთი თავს დაგვატყდეს, ჩვენ შეუპოვრები უნდა ვიყოთ."

"ჩვენ ასეთი წესი გვაქვს: შენ თუ მიუტევებ, ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთმა მოგიტევა, მაგრამ შენ თუ არ მიუტევებ შენს ძმას, ეს იმას ნიშნავს, რომ შენი ცოდვა შენში რჩება."


წმინდა სილუან ათონელი

ხსოვნა

ელენე კავლაშვილი

2019 წლის 21

ნოემბერს, მთავარანგელოზთა დღეს გაასვენეს სიონის საკათედრო ტაძრიდან ქალბატონი ელენე კავლაშვილი. მისი სადოქტორო დისერტაცია. მთავარანგელოზთა სახელობის მხერის ტაძრის მოხატულობას ეხებოდა. ალბათ, შემთხვევითი არ იყო ეს ამბავი...



დაიბადა 1948 წელს. 1971 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა. 1972 წლიდან გარდაცვალებამდე შალვა ამირანაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების მუზეუმის საგანძურში მუშაობდა, ჯერ გიდად, შემდეგ უმცროს და უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ფონდის მცველად და ბოლოს იმავე ოქროს ფონდის კურატორი იყო. მთელი ორმოცდაშვიდი წლის მანძილზე თავდაუზოგავად ემსახურებოდა დაკისრებულ საქმეს, სრულად ჰქონდა გაცნობიერებული ის პასუხისმგებლობა, რაც უფალმა დააკისრა. კარგად ესმოდა, რასაც იცავდა და ვისი მემკვიდრე იყო საქართველოს საგანძურის დაცვაში. ხშირად საყვედურობდნენ, ზედმეტი მოსდისო... რასაც სხვისგან მოითხოვდა, თავადაც იცავდა ყველაფერს..

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე 1996 წლიდან მოინვიეს. მუზეუმმცოდნეობას და ქართული ოქრომჭედლობის ისტორიას კითხულობდა. წლების მანძილზე მრავალმა თაობამ გაიარა მის ხელში. სტუდენტებს ჰქონდათ ბედნიერება, მისი ლექციები საგანძურის საექსპოზიციო დარბაზში მოესმინათ ანჩისხატის, ხახულის, ზარზმის ხატების სივრცეში. ვისაც ინტერესს შეატყობდა, სამეცნიერო ლიტერატურასაც მიუთითებდა და საკონფერენციო თემებს იქვე ორიგინალი ხატის წინ ამუშავებინებდა. არ ყოფილა შემთხვევა მისი ხელმძღვანელობით შესრულებული თემის წარდგენას არ დასწრებოდა და სტუდენტი არ გაემხნევებინა.

სამუზეუმო საქმეს და პედაგოგიურ საქმიანობას მთელი მისი დრო მიჰქონდა, თუმცა მაინც ახერხებდა და მხოლოდ ბოლო ათი წლის მანძილზე ოცდახუთამდე სამეცნიერო პუბლიკაცია მოამზადა და ოცამდე კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა. ზემო სვანეთის მხერის ეკლესიის მოხატულობის შესახებ შესრულებული კვლევა გამოუქვეყნებელი დარჩა. სვანური ზარით მიაბარეს მცხეთაში სამთავროს მინას...

ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის კათედრა

რედაქტორი – გივი შეყილაძე

მოადგილეები – ასმათ ჯიქია, დეკანოზი იოანე ბარკალაია

პასუხისმგებელი მდივანი – სალომე გოგინაშვილი

კორექტორები – ხათუნა პატაშური, თამთა გრიგალაშვილი.

კომპიუტერული უზრუნველყოფა – თამთა გრიგალაშვილისა და გიორგი მაისურაძისა.

სარედაქციო კოლეგია: დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია, დეკანოზი გიორგი გუგუშვილი, არქიდაკონი დემეტრე (დავითაშვილი), ედიშერ ჭელიძე, სერგო ვარდოსანიძე, ნინო მელიქიშვილი, ლეილა გეგუჩაძე, ირაკლი ორუონია, მარიამ თოფურია, ლელა ხაჩიძე, შორენა ფარქოსაძე, თამთა ფარულავა.

გაზეთი დაკაბადონდა

„მერიდიანში“, მისამართი:

ალ. ყაზბეგის გამზირი №47.

დაიბეჭდა გამომცემლობა

„მერიდიანის“ სტამბაში

მის.: ვახუშტი ბაგრატიონის №84.

თამარ სტეფნაძის

კომპიუტერული მომსახურება.